ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 2015 №265 (6885) ფასი: 30 თეთრი

შეისყიდის თუ არა მაგთიკომი კავკასუსს?

ზურაბ კუკულაძე: „კავკასუსის მფლობელობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობს“

გვ.6

ბიძინა ივანიშვილი: „მთავრობას რუსთავი 2 არ სჭირდება“

„მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი რუსთავი 2-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა“

გვ.2

ნინო გვენეტაძე: „მოსამართლე ურთმელიძისგან ანგარიშს კი არა, ინფორმაციას ვითხოვდით“

გვ.5

კახა კუკავა: „ხიდაშელსა და აგულაშვილს სასამართლოში შევხვდებით“

„ოცნება“ თუ ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას, ებრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე დანაშაულებრივი სისტემა თავად მოირგოს

გვ.3

გვ.4

„ელჩიბეის ერთმა ზარმა საქართველო სისხლისღვრისგან იხსნა“

„ქართველი მოსახლეობის გასაჟლეტად 100 სპეცრაზმელი იყო მობილიზებული“

ზაალ ჯასხელიშვილი: „დაშლის პირას მისული გაზპრომის გამო ახეიბაიჯანის განანწყენება არ ღირს"

ვალერი გელბახიანი: „ხელისუფლება მოშიმშილეებს უნდა დაელაპარაკოს“

გვ.5

„რუსთავი 2-ის ამბები მთავრობას შეიწირავს“

გვ.3

ნუგზარ წიკლაური და გიგა ბოკერია ხმის შემოწმებაზე უარს ამბობენ

ეს გამოძიება არ ემსახურება არც მოქალაქის უსაფრთხოებას, არც საქართველოს ინტერესებს, არამედ ემსახურება ერთადერთს, ბიძინა ივანიშვილის სურვილს

ივანიშვილი: „მთავრობას რუსთავი 2 არ სჭირდება“

„მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი რუსთავი 2-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა“

– ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი რუსთავი 2-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა.

ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გუშინ, 10 ნოემბერს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში გააკეთა.

მთავრობის ყოფილი მეთაურის განმარტებით, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მთავრობას აზიანებს, თუმცა სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ მან კანონი დაარღვია.

– შექმნილი სიტუაცია არ არის მთავრობისთვის ხელსაყრელი. ეს არის ხელსაყრელი სწორედ ნაციონალური მოძრაობისთვის. როგორ ასწიეს თემა, ნახეთ. ოსტატები არიან. განა არ ვიცოდი, რომ ამას იზამდნენ? ეს რომ ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული, მე მაგის ჭკუა მეყოფოდა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი რუსთავი 2-ს და მერე ეს დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შეგვეყვანა. მე ამის ჭკუა მეყოფოდა.

რა მოჰყვებოდა ამას, ძალიან იოლი დასანახი იყო – ნაციონალური მოძრაობის ხელწერა ხომ კარგად ვიცით, მაგრამ, ამავდროულად, რა ვუყოთ დვალს, აქიმიძესა და ხალვაშს? მათ აქვთ კანონიერი უფლება, იდავონ იმაზე, რაც წაართვეს, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, პოლიტიკურად სიტუაცია რომ მათთვის სახარბიელო არ არის, ესმით მთავრობის წარმომადგენლებსაც.

– პოლიტიკურად არავინ არის მთავრობაში ასეთი ბრიყვი, მით უმეტეს, ჩემზე აკეთებენ ყველაზე მეტ მინიშნებას. ნამდვილად მეყოფოდა ჭკუა, რომ ასეთი კოზირი არ გადამეგდო ნაციონალებისათვის, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

კოზირში მან იგულისხმა ზეპირი მოსმენის გარეშე მმართველის დანიშვნა.

– პოლიტიკურად ეს გადაწყვეტილება წამგებიანი იყო, მაგრამ სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ ურთმელიძემ კანონი დაარღვია. თუ ვინმეს არ მოსწონს ურთმელიძის გადაწყვეტილება და პოლიტიკურად ეს ჩვენ ნამდვილად გვაზიანებს, ამისთვის არსებობს ისევ სასამართლო, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

იგი ტელეკომპანიის შესახებ დასავლეთის განცხადებებსაც შეეხო.

– უამრავი უმეცარი განცხადება გააკეთა სახალხო პარტიამ. ის ისეთივე აღშფოთებული იყო არჩევნების დროს, როცა მე „ტელევიზორებსა და მაცივრებს ვარიგებდი“. იმავე ევროსაბჭომ და ეუთომ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უფლება გვაქვს, ყურად არ ვიღოთ მათი განცხადებები.

რა თქმა უნდა, დღევანდელ მათ განცხადებებს ყურადღებით ვუსმენთ, ვპასუხობთ, სადაც საპასუხოა, მაგრამ ის, რასაც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა თავის დროზე ახერხებდნენ, რომ გარედან უნდა იმართოს ქვეყანა, ქართველი ხალხი არავინ არის და არაფერს ნიშნავს, რას იტყვიან „ისინი“, იმაზე უნდა ვიცეკვოთ, ასე არ იქნება და ვერც იქნება, – განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით საქმე კერძო სუბიექტებს შორის დავას ეხება.

– დვალი და ხალვაში იბრძვიან წართმეული ქონების დასაბრუნებლად. ისინი არიან ერთ მხარეს, მეორე მხარეს წარმოადგენენ გამოკვეთილად გვარამია და მთელი ნაციონალური მოძრაობა მეპატრონე ყარამანიშვილებთან ერთად, რომლებიც ბოლოს მოქოქეს, მაგრამ ვერ მოქოქეს ანუ მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

– როგორც არ უნდა ინატროთ, ვერაფერი ვერ შემეხება მე, – ასე უპასუხა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვას აშშ-ში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც ვაშინგტონი რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ აღნიშნულს კონკრეტული პოლიტიკური შედეგები ექნება.

– როგორ უნდა შემეხოს? საუბედუროდ, თქვენს სურვილებს სიზმრები შეიძლება დავარქვათ... როგორც არ უნდა ინატროთ, ვერაფერი ვერ შემეხება მე, რადგან, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებსაც თქვენ იცავთ, კანონს არ ვარღვევ, – მიმართა ივანიშვილმა კითხვის ავტორს.

ყოფილი პრემიერის აზრით, ვაშინგტონის შეშფოთება გადაჭარბებულია.

– მე ვფიქრობ, შეშფოთება გადაჭარბებულია. ამის საფუძველი კი გახლავთ ისევ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც 9 წლის განმავლობაში ახერხებდა უამრავი მეგობრის შეძენას, თავისი ხელწერის დიქტატურის ნაცვლად დემოკრატიად გაფორმებას და ა.შ.

მე ამას გულწრფელად ვიღებ ყურადღებით. ვალდებულადაც კი ვთვლი თავს და დღევანდელ ხელისუფლებასაც, ვფიქრობ, იგივე ვალდებულება აქვს, რომ ჩვენ ყველა კითხვას ვუპასუხოთ. ვუპასუხებთ კიდეც და ვაჩვენებთ რეალობას, რომ არაფერიც არ ხდება.

მარტივი თემაა, ხალხო – მაესტრო გაქვთ გვერდით, თანაც მაესტროში გაცილებით ჯანსაღი პროცესია – იქ დავობენ მესაკუთრეები, აქ კი დავობს ორი მესაკუთრე, რომლებიც ორჯერ გაძარცვეს და გაუგებარი კაცი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, – განმარტა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

ივანიშვილის თქმით, ხელისუფლებას არ სჭირდება რუსთავი 2-ში დროებითი მმართველები და არც თავად რუსთავი 2, რომ არჩევნებამდე ხელიდან გამოაცალოს ნაციონალურ მოძრაობას.

* * *

ყოფილი პრემიერ-მინისტრი არასამთავრობოებსაც შეეხო.

– არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არასამთავრობოდ წარმოგვიდგა და, როგორც იქნა, ახლა პოლიტიკაში თავის რეალურ სახეს გვაჩვენებს, ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებაა, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის თქმით, ისინი სამოქალაქო საზოგადოებას ძალიან აბინძურებენ.

– კარგი იქნება, დანარჩენი ნაწილიც, სამოქალაქო საზოგადოებას რომ უწოდებს თავის თავს და რეალურად ნაციონალური მოძრაობის სტრუქტურის ნაწილი არიან, თუ თავადაც დაარქმევენ თავის თავს სახელს, როგორც გიგაურმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, – განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს, რითაც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილის მიერ საკონსტიტუციო სარჩელის მომზადების თაობაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

ყოფილი პრემიერი ყველანაირ უკანონო მოსმენას გამორიცხავს.

– მე დღეს გამოვრიცხავ ყველანაირ უკანონო მოსმენას. ისეთი კაცი უდგას სათავეში უშიშროების სამსახურს, რომ ამას არ იკადრებს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

ყოფილმა პრემიერმა პრეზიდენტის უარი ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით ცინიზმის ძალიან მაღალ დონედ შეაფასა.

– ამაზე დღეს ვეღარ დავხარჯავ დიდ დროს, უფრო საინტერესო თემებზე მკითხეთ, მაგრამ მთავარი, რასაც მე ვხედავ, არის ის, რომ ყველამ უნდა დაიცვას კანონი, პატივი სცეს ქართულ სახელმწიფოს და პირველ რიგში – პრეზიდენტმა. კომერციული ნაწილიც უნდა შეფასდეს, 10 მილიონს გადასცდა და ამბობს, რომ მოქალაქეების დასაცავად აკეთებს. აქაც ცინიზმის ძალიან მაღალი დონეა. რა თქმა უნდა, ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება, მას ეს სურს თუ არა.

სახელმწიფო სახელმწიფო უნდა იყოს და სტრუქტურებმა უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება. თავის დროზე მთავრობამ განაცხადა, რომ კანონიერი ქმედებისგან თავს შეიკავებს. დადგება ეგ დროც, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ფედერიკა მოგერინი: „საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლია“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტი ფედერიკა მოგერინი სტუმრობს.

გუშინ, 10 ნოემბერს, ის საქართველოს მთავრობის მეთაურ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე სტუმარ-მასპინძელმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სტრატეგიული საკითხები განიხილა, ასევე იმსჯელეს ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტებზე, ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის დასრულების მნიშვნელობაზე.

ღარიბაშვილის თქმით, სავიზო დიალოგის წარმატებით დასრულება საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ მაქსიმალური ძალისხმევა გასწია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესასრულებლად.

თავის მხრივ, ფედერიკა მოგერინი იმედოვნებს, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებით საქართველო მალე პოზიტიურ ახალ ამბავს შეიტყობს.

ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ნაბიჯები ვიზალიბერალიზაციის პროცესებში რეალურად პოზიტიურია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებას მთავრობა მხარს არ უჭერს

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების თაობაზე ოპოზიციონერ დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძის საკანონმდებლო პაკეტს მთავრობა მხარს არ უჭერს.

ჯაფარიძის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებულია სრულ პროფესიულ სამსახურზე გადასვლა, რომლის განხორციელება ეტაპობრივად მოხდება. მთავრობის შეფასებით, პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტით სამხედრო სავალდებულო სამსახურის შეთავაზებულ ვადებში – 2016 წლიდან გაუქმების შემთხვევაში, აუცილებელი გახდება შეიარაღებულ ძალებში წარმოქმნილი სხვაობის, დანაკლისის პროფესიული ძალებით შევსება, რაც დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლებელია.

შესაბამისად, მთავრობა მიიჩნევს, რომ კანონპროექტის 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესვლა ბრძოლისუნარიანობის მაღალი დონის ამაღლებას შეაფერხებს.

– ასევე გასათვალისწინებელია, რომ საომარი მოქმედებების დროს აქტიურად უნდა ხდებოდეს წინასწარ მომზადებული სარეზერვო კომპონენტის გამოყენება, რაც მოცემული ცვლილებების ფარგლებში შეუძლებელი იქნება, – აღნიშნულია მთავრობის დასკვნაში.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის საკითხზე რამდენიმე დღის წინ პარლამენტში თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ისაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის შენარჩუნების შემთხვევაში, გაწვევის სისტემა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს. ხიდაშელის განმარტებით, რეალურად ხდება ახალგაზრდების არა ჯარში, არამედ ყარაულში გაწვევა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კუკავა: „ხიდაშელსა და აგულაშვილს სასამართლოში შევხვდებით“

„მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნა გარდაუვალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობა“ უკვე ნეიდა იმის შესახებ, ჰომ პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა იმა ინაშვილმა შიმშილობა დაიწყო და ის თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელისა და გახემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილის გადადგომას ითხოვს. ინაშვილს მხარს უჭერს პარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი. მასთან თანამშრომლობას აცხადებენ ნაციონალები.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ მან და კიდევ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ უკვე გააკეთეს სოლიდარობის შესახებ განცხადებები და ერთობლივ მოქმედებას გეგმავენ.

– ბატონო კახა, ერთობლივ მოქმედებაში რა იგულისხმება?

– ჩვენ გვქონდა პატრიოტთა ალიანსთან კონსულტაციები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს განსხვავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ხედვები, ეს არ არის კავშირში იმასთან, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები უნდა ტარდებოდეს თავისუფლად. ამიტომ ჩვენ მზად ვართ, მათი ხმებიც დავიცვათ, მათი უფლებებიც დავიცვათ.

– როგორ აპირებთ მათი ხმებისა და უფლებების დაცვას?

– კონკრეტულად რა ფორმით მოხდება ეს, ამაზე უახლოეს მომავალში ჩამოვყალიბდებით.

– ნაციონალური მოძრაობაც არ გამორიცხავს ირმა ინაშვილთან და პატრიოტთა ალიანსთან თანამშრომლობას. ეს რამდენად მოხერხდება?

– ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საუბრები სოლიდარობასა და თავისუფალ არჩევნებზე ისეთივე სიმართლეა, როგორც „ქართული ოცნების“ მხრიდან, ვინაიდან იმ პოლიტიკური პარტიების მხრიდან სოლიდარობა, რომლებიც არჩევნების გაყალბებაში

„ოცნება“ თუ ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას, ებრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე დანაშაულებრივი სისტემა თავად მოირგოს

არიან ეჭვმიტანილნი, ძალიან ჰგავს იუდას ამბავს.

– გასაგებია, რომ ინაშვილს სოლიდარობას უცხადებთ. გარდა ამისა, სხვა რა გეგმები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას?

– დღეს მომწიფდა მესამე ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი და ის მალე შეიქმნება, რადგან ის ორი პოლიტიკური ძალა, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, ორი ბერწი პოლიტიკური სხეულია, რომელთა ურთიერთობისგანაც საზოგადოება ვერაფერს სასიკეთოს ვერ მიიღებს.

ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ ორივე პოლიტიკური ძალა საზოგადოებას წარსულისკენ ექაჩება, ერთი – სააკაშვილის ავტორიტარიზმისკენ, ხოლო მეორე – კიდევ უფრო შორეული წარსულისკენ.

– ბიძინა ივანიშვილი გამოხატავს ქურდულ ოლიგარქიულ მენტალობას, რომელიც 70-80-იან წლებში იყო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. „ოცნებამ“ და ნაციონალებმა ერთმანეთთან ბრძოლაში ყველაფერი მოსპეს და გაანადგურეს, რაც კი ამ ქვეყნის მონაპოვარი იყო, – აცხადებს კუკავა.

– რა იყო ამ ქვეყნის მონაპოვარი?

– თუნდაც სიტყვის თავისუფლების ჩანასახი, თუნდაც სასამართლოს დამოუკიდებლობა.

– იყო სასამართლო დამოუკიდებელი?

– აქამდე სასამართლოს დამოუკიდებლობა დეკლარაციის დონეზე მაინც იყო საქართველოში. ბოლო ორი კვირის განმავლობაში კი პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები მოსამართლეებზე ზეწოლას ღიად ახდენენ.

დღეს ქვეყანას ჰაერივით სჭირდება მესამე ცენტრი, რომლის მთავარი ფასეულობა იქნება ქვეყნის გარდაქმნა დემოკრატიულ ქვეყანად, ხოლო მისი ტაქტიკური ამოცანა იქნება „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური განადგურება. არ შეიძლება, ქვეყანაში არსებობდნენ კლანები და დროა, მათ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენა შეწყვიტონ.

– რომელ კლანებს გულისხმობთ? ფიქრობთ, რომ დღეს ქვეყანას კლანები მართავენ?

– ამას დიდი ფიქრი და მტკიცება რად უნდა?! სამარცხვინოა, 2015 წელს ილჰამ ალიევი ჩამოდის თბილისში, ხვდება ოფიციალურ პირებს, შემდეგ ხვდება ბიძინა ივანიშვილს და აზერბაიჯანული პრესა წერს, რომ ილჰამ ალიევი შეხვდა საქართველოს ბატონ-პატრონს. 2015 წელს თუ ჩვენ აზერბაიჯანის დასაცინი გავხდებოდით დემოკრატიის კუთხით, ამას, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა და ასეთ პროგნოზს ვერ გააკეთებდა ვერცერთი პოლიტიკური ექსპერტი.

– ანუ დაგვცინიან?

– რა თქმა უნდა, ეს დაცინვაა! ილჰამ ალიევს შეუდგინეს გრაფიკი: დილის 12 საათზე შეხვედრა პრეზიდენტთან, 2-ზე – პრემიერთან, ხოლო 8 საათზე შეხვედრა „ხაზეინთან“! ეს ხომ არის ქვეყნის მასხრად აგდება?!

– რა სტატუსით შეხვდა ივანიშვილი?

– აი, ზუსტად ამ სტატუსით – „ხაზიაინ გრუზიი“. ზუსტად ამ სიტყვებით წერს აზერბაიჯანული გამოცემა. რა, ვინმესთვის უცხოა, რომ დღეს ქვეყანას მართავს ივანიშვილი?! მისი გუნდის წევრებიც აღიარებენ, რომ ივანიშვილია ამ ქვეყანაში მთავარი პოლიტიკური ფიგურა. ლანძღავენ რესპუბლიკელებს და კიდევ სხვებს და ყველა საჩივლელად ივანიშვილთან მიდის.

– რესპუბლიკელები ახსენეთ და ირმა ინაშვილის მთავარი მოთხოვნაა, გადადგნენ ხიდაშელი და აგულაშვილი. გაიზიარებს „ხაზიაინი“ ამ მოთხოვნას? ამბობენ, რომ რესპუბლიკელები დიდად არც მას ეხატება გულზე.

– ხიდაშელთან და აგულაშვილთან დიალოგი, სამწუხაროდ, ვერ შედგა. მათ უარი განაცხადეს ოპოზიციასთან დიალოგზე, მაგრამ, მე მინდა მათ ვუთხრა, რომ ჩვენ შევხვდებით ძალიან მალე და შევხვდებით სასამართლოში, როცა ისინი ბრალდებულის სკამზე ისხდებიან. მათ წინააღმდეგ იქნება წამოყენებული ბრალდებები და ერთ-ერთი ბრალდება იქნება სწორედ შუალედური არჩევნების გაყალბება.

– როდესაც მესამე ცენტრზე საუბრობთ, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი? სად არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამ ცენტრს შექმნიან?

– ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს. საზოგადოებაში ეს მოთხოვნა საკმაოდ აქტიურია. პირადად

აზერბაიჯანის მედია ივანიშვილს საქართველოს „ხაზიაინს“ უწოდებს

მე ჩართული ვარ კონსულტაციებში ამ საკითხთან დაკავშირებით და გეტყვით იმასაც, რომ მესამე ცენტრი შედგება.

– არის ის განწყობები, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს?

– ამისთვის გარკვეული მზაობა არსებობს. აქამდე თუ არსებობდა განცდა, რომ, აი, მოვიდა „ოცნება“ და ნაცებს მაინც ხომ სჯობიან, ეს იმედიც მოკვდა ქართველ საზოგადოებაში. „ოცნება“ თუ ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას, ებრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე დანაშაულებრივი სისტემა თავად მოირგოს.

– მოესწრება 2016 წლამდე მესამე ცენტრის ჩამოყალიბება?

– უნდა მოესწროს და, თუ ეს მოხდა, მაშინ „ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერის პრობლემა დაუდგებათ.

ნუგზარ წიკლაური და გიგა ბოკერია ხმის შემოწმებაზე უარს ამბობენ

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი ნუგზარ წიკლაური, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ მისი ხმით ოდესმე ვინმე ასე დაინტერესდებოდა. ამ ამბიციას არც უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია შეუწუხებია. მათი ხმის ტემბრით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაინტერესდა და ისინი მზად არიან, ნაციონალების ხმოვანებას გულდასმით მოუსმინონ.

ინტრიგანები, ალბათ, იფიქრებენ, რომ სუს-ში მოცლილი მელომანები სხედან და ახალ ხმებს არჩევენ დარდიმანდული სიმღერებისთვის, მაგრამ ნურას უკაცრავად. ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე მყოფი სტრუქტურა მათი ჟღერადობით სულ სხვა მიზეზის გამო დაინტერესდა.

ცოტა ხნის წინ უკრაინულმა მედიამ გამოაქვეყნა აუდიოჩანაწერები, სადაც ნაციონალები ოდესაში გადაბარგებულ მიხეილ სააკაშვილს გაწევ-გამოწევაზე ესაუბრებიან.

ამ საუბრების გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ნაციონალი სასწრაფოდ დაიბარეს მოდულის შენობაში. ყველა მათგანი, მათ შორის ბოკერია და წიკლაური, დათქმულ დროს დათქმულ ადგილზე გამოცხადდნენ და ჩვენებებიც მისცეს.

არცერთ მათგანს არ უარუყვია, რომ მიხეილ სააკაშვილს მართლაც ელაპარაკნენ და რუსთავი 2-ის ფიზიკურად დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება.

ფირების ავთენტურობა არცერთ მათგანს ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ამის მიუხედავად, სუს-მა ექსპერტიზის ჩატარება მაინც გადაწყვიტა, ეტყობა, არ უნდათ, აშშ-ის ელჩის წინაშე პირშავად გამოჩნდნენ. იან კელი ამ აუდიოჩანაწერებს ისედაც ისე უყურებს, როგორც ლენინი ბურჟუაზიას უყურებდა.

მთელი რიგი დეტალების დასაზუსტებლად სუს-მა წიკლაურსა და ბოკერიას უწყებები გაუგზავნა. ორივე მათგანი ამ ფაქტმა უზომოდ აღაშფოთა.

ნუგზარ წიკლაურს სუს-იდან აუწყეს, რომ გამოძიების ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ტექნიკური დეტალების გადამოწმება, ხმის სინჯების აღება და ჩანაწერების ავთენტურობის დადგენა.

ამ პროცესში მონაწილეობის მიღებას წიკლაური არ გეგმავს. დეპუტატი აცხადებს, რომ სუს-სს მხოლოდ მაშინ გაასინჯებს თავის ხმას, თუ ამაზე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, მოდულის შენობაში მის ხელახალ დაბარებას კი ხელისუფლების მდაბიო სურვილად აღიქვამს.

ნუგზარ წიკლაური:

– ეს გამოძიება არ ემსახურება არც მოქალაქის უსაფრთხოებას, არც საქართველოს ინტერესებს, არამედ ემსახურება ერთადერთს, ბიძინა ივანიშვილის სურვილს, რომ მოწინააღმდეგე პოლიტიკური გუნდის ლიდერები ყოველდღიურად დადიოდნენ სხვადასხვა უწყებაში. არ ვაპირებ ამ პრიმიტიულ-პოლიტიკურ მასკარადში მონაწილეობის მიღებას, რომელიც სხვას არაფერს უკავშირდება, თუ არა ხელისუფლების ამ სრულიად მდაბიო სურვილს.

საკუთარი ხმის შემოწმებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს უშიშროების საბჭოს ნამდივნარი გიგა ბოკერიაც. მისი თქმით, სუს-ის განზრახვა, აიღოს მათი ხმის სინჯები, სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური მასკარადი.

გიგა ბოკერია:

– ზედაცინვა მოიგონეს – რაღაც ხმის ტესტირება უნდა ჩაგიტაროთო. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მაშინ, როცა ქვეყნის წინაშე უმძიმესი გამოწვევები დგას, მაშინ, როცა ჩვენ უნდა გვქონდეს დისკუსია, როგორ უნდა გამოვიყვანოთ ქვეყანა იმ კრიზისიდან, რომელშიც ივანიშვილმა შეიყვანა და გვაქვს კონკრეტული ინიციატივები, დგას ფუნდამენტური საკითხი რუსთავი 2-ისა და კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლის, ივანიშვილის დაქირავებული სტრუქტურები გვთავაზობენ ამ დამცინავ მასკარადს და, რა თქმა უნდა, ამაში ნებაყოფლობით არანაირ მონაწილეობას არ მივიღებთ.

სუს-ის ამ გადაწყვეტილებით დანარჩენი ნაციონალებიც აღშფოთდნენ. მათი აზრით, ახლა მთავარი სიტყვის თავისუფლების დაცვაა და არა ასეთი სისულელეების კეთება.

სიტყვის თავისუფლების დაცვის საბაბით ნაციონალები პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებენ. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა, ნაციონალური მოძრაობა მიმდინარე კვირას პლენარულ სხდომებს არ დაესწრება.

გოკა გაბაშვილი:

– მნიშვნელოვანი საკითხებია ქვეყნის წინაშე, მნიშვნელოვანი საკითხებია პარლამენტში განსახილველი, მათ შორის ჩვენ გვაქვს საკითხი პენსიის ზრდისა 50 ლარით და მთავრობისთვის ფუფუნების მოკლებისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სასაუბროა. თუმცა ამ წუთში და ახლა ქვეყანაში დემოკრატიის მომავალი განვითარების, სამართლიანი არჩევნების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდება აქ, რუსთავი 2-თან. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, სასესიო კვირაში არ მივიდეთ პარლამენტში და გვერდში დავუდგეთ რუსთავი 2-ს.

* * *

და ისევ სუს-იდან მოსული უწყების შესახებ: საინტერესოა, როგორ უნდა აუღონ წიკლაურსა და ბოკერიას ხმის სინჯები. ამ მიზნით სუს-ს რაიმე მზაკვრული გეგმა ექნება. ისინი დაკითხვაზე მისულებს ჯინაზე, ალბათ, „დენ პაბედის“ ამღერებენ ანდა რომელიმე ლენინის ციტატებს წააკითხებენ რუსულ ენაზე.

და რადგან ეს ყველაფერი რუსთავი 2-ს უკავშირდება, ცუდი არ იქნებოდა, თუ მათ პროექტ „ნიჭიერში“ მიაღებინებდნენ მონაწილეობას. ისინი რაიმე ამერიკულ ან ქართულ საბრძოლო სიმღერას შეასრულებენ, ერიც გახალისდებოდა და სუს-იც აიღებდა ხმის სინჯებს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

„ელჩიბეის ერთმა ზარმა საქართველო სისხლისღვრისგან იხსნა“

„ქართველი მოსახლეობის გასაჟლეტად 100 სპეცრაზმელი იყო მობილიზებული“

შორენა მარსაგიშვილი

ჰა შემთხვევაში დატოვებენ ჰესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას", ჰატომ ჰა ღირს გაზპრომთან დიალოგი, ჰატომ ჰა უნდა ვანყენინოთ აზერბაიჯანს, ჰა ბრძანებას ელოდებიან პროხესელი და პროდასავლური ძალები? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ჯავჯასიის ხალხთა ჯონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ ჯასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– ძალიან მალე გიორგი მარგველაშვილი და თავისუფალი დემოკრატები ნაციონალებთან ერთად ოფიციალურად გააფორმებენ ალიანსს. მათ შესაძლო თანამშრომლობაზე საუბარი ჩვენ ჯერ კიდევ 2 წლის წინ დავიწყეთ, ზოგიერთმა ფსევდო პოლიტიკოსმა ეს არ დაიჯერა, სხვებმა მოტივი ვერ დაინახეს, თუ რატომ უნდა მომხდარიყო მათი გაერთიანება.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები ქვეყნის გარედან იკვებებიან როგორც ფინანსურად, ასევე იდეოლოგიურად. ისინი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს წარმოადგენენ, გადაწყვეტილების მიღების დროს დამოუკიდებლები არ არიან და იმას გააკეთებენ, რასაც უბრძანებენ.

– ამით იმის თქმა გინდათ, რომ ამათი გაერთიანება სხვების კარნახით მოხდება?

– არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, სავარაუდოდ, აღდგომისთვის, კოალიციების ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ გადაწყვეტილია. უნდათ თუ არა მარგველაშვილს, ნაციონალებს და ირაკლი ალასანიას გაერთიანება, ეს მათ პატრონებს არ აინტერესებთ. ისინი ეტყვიან, რომ უნდა გაერთიანდნენ და ესენიც გაერთიანდებიან.

– ადრე თქვენ ამ შესაძლო ალიანსში რესპუბლიკელებსაც მოიაზრებდით, ახლა აღარ გიხსენებიათ. გამოგრჩათ, თუ მათ თავს რაიმე სხვა ხდება?

– რაღაცები შეიცვალა და ამ ეტაპზე არ გვგონია, რომ რესპუბლიკელები კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნონ. ოღონდ ეს მათი საბოლოო გადაწყვეტილება არ არის. „ქართული ოცნება“ თუ ხმამაღლა იტყვის, რომ ევროატლანტიკურ კურსს გადაუხვია, ამ შემთხვევაში მოხდება კოალიციიდან მათი წამოსვლა. ასე რომ, გიორგი მარგველაშვილის გარშემო მხოლოდ ნაციონალებს და თავისუფალ დემოკრატებს ვიხილავთ. ამ ძალებს შესაძლოა დიდად არ მოსწონთ მარგველაშვილი, მაგრამ ის დღეს მხოლოდ ერთი მიზეზით სჭირდებათ – ეს მისი სტატუსია.

ამ ადამიანს არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ არ აქვს კავშირები და გავლენა. სამაგიეროდ, აქვს პრეზიდენტის სტატუსი. როდესაც დასავლეთში რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტს მოიხსენიებენ, არავინ კითხულობს, რა ავტორიტეტი აქვს მას თავის ქვეყანაში. მათთვის პრეზიდენტი უკვე სტატუსია და ევროპელებისთვის მისი განცხადება აღქმულია, როგორც მაღალი რანგის გადაწყვეტილება. ჩვენი აზრით, პროდასავლური ძალები რაც შეიძლება მალე უნდა გაერთიანდნენ.

– ამ ძალებს პროდასავლურად მიიჩნევთ, ჩვენთან ინტერვიუში არაერთხელ გითქვამთ, რომ ნაციონალები და ირაკლი ალასანია რუსეთის ინტერესებს ატარებდნენ ხშირად. რანაირად გამოდიან პროდასავლური ძალები?

– ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროდასავლურ ძალებში რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ჩანერგილი ადამიანები არიან. ასევე დარწმუნებით გეტყვით, რომ პრორუსულ პარტიებშიც არიან სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტები.

ჩვენ ყურადღებას მარტო პრორუსულ და პროდასავლურ ძალებზე ვაკეთებთ, არადა საქართველოში და მთელს კავკასიაში გავლენის მოპოვება კიდევ რამდენიმე ქვეყანას სურს.

– რომელ ქვეყნებზე საუბრობთ?

– თურქეთი, ირანი. საქართველოს მიმართ სერიოზული ინტერესი გაუჩნდა ისლამურ სამყაროსაც. ისლამურ სახელმწიფოს არ ვგულისხმობ. ისლამური სამყარო დასავლეთით არის ძალიან დაინტერესებული და ეს ინტერესები კავკასიაზე გადის. ჩემი მოგონილია არაა, რომ ვინც კავკასიაშია ფეხმოკიდებული, ის დგას იმ პლაცდარმზე, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთი, ასევე სამხრეთ-ჩრდილოეთი.

საქართველოს მიმართ სერიოზული ინტერესი აქვს ისრაელსაც, ეს სახელმწიფო ისლამური სამყაროს შუაგულში მდებარეობს და 1947 წლიდან ებრძვის რადიკალურ ისლამს. ამ ბრძოლაში მყოფი ისრაელისთვის საქართველო გახლავთ როგორც ზურგი, ასევე პლაცდარმი. სხვა კორპორაციულ ინტერესებზე

ზაალ კასრელიშვილი: „დაშლის პირას მისული გაზპრომის გამო აზერბაიჯანის განაწყენება არ ღირს“

აღარ ვილაპარაკებთ.

– ზემოთ აღნიშნეთ, რომ რესპუბლიკელები გაემიჯნებიან კოალიციას, თუ ის ღიად შეცვლის საგარეო კურსს. გაზპრომთან მოლაპარაკებები არის თუ არა კურსის ცვლა? ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსულ გაზს თან რუსული ჩექმა მოსდევს.

– გაზპრომთან მოლაპარაკებების დაწყებას სხვა სიბრტყეში ვუყურებთ. რუსული გაზის შემოსვლა საქართველოში კონკურენციას გაუწევს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანს, რისი მომხრეებიც ჩვენ არ ვართ.

– რატომ, კონკურენცია უკეთესი არ იქნება?

– გააჩნია, ვინ არის კონკურენტი. თანაც არ ღირს გაზპრომის გამო ჩვენს მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭება. გასული საუკუნის 90-იან წლებში აზერბაიჯანის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ სწორი პოზიცია დაიკავა და საქართველო სისხლისღვრისგან იხსნა, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

– იქნებ დეტალურად გვითხრათ, რა სისხლისღვრა აგვაცილა ოფიციალურმა ბაქომ?

– არ ვიცი, იცის თუ არა თქვენმა მკითხველმა, მაგრამ კრემლის გეგმის თანახმად, აფხაზეთის ნაცვლად, დაპირისპირება ქვემო ქართლში უნდა მომხდარიყო. ამ პროცესებში ჩვენ აქტიურად ვიყავით ჩართული და ყველა დეტალი მახსოვს. ისიც კარგად ვიცი, რომ ერთმა ზარმა აგვაცილა სისხლისღვრა.

საქართველოს ტერიტორიაზე უკვე მობილიზებული იყო 100-მდე ნიღბიანი მებრძოლი. ამ ადამიანებს ქვემო ქართლის ქართული მოსახლეობისთვის ცეცხლი უნდა გაეხსნათ. ისინი ღამით უნდა შესულიყვნენ ქართულ სოფლებში და მძინარე ხალხი გაეწყვიტათ. გეგმის თანახმად, ამის შემდეგ გავრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანი თავს დაესხა საქართველოს.

– ეს შეიარაღებული პირები ვინ იყვნენ?

– როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, მათ გაასაღებდნენ თურქული ორიენტაციის აზერბაიჯანელ მებრძოლებად. სინამდვილეში ისინი რუსი სპეცრაზმელები იყვნენ. გეგმაც რუსეთის მიერ იყო მოფიქრებული. როცა ამის შესახებ შეგვატყობინეს, სიმართლე გითხრათ, თავიდან არ დავიჯერეთ.

– რატომ არ დაიჯერეთ?

– იმ დროისთვის აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უკვე დაწყებული იყო შეიარაღებული კონფლიქტი. ოფიციალურ ბაქოს საქართველოსთან სიტუაციის გამწვავება არც სამხედრო და არც პოლიტიკური თვალსაზრისით არ აწყობდა. ახალი ფრონტის გახსნა მათთვის ძალიან მძიმე იქნებოდა.

სამაგიეროდ, ეს აწყობდა რუსეთს, მათ ქვემო ქართლში მოძებნეს პროვოკატორები და სერიოზული დაპირისპირება მზადდებოდა. იმ დროს ცხონებული მერაბ კოსტავა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ჩვენთან ქვემო ქართლში მცხოვრები ბევრი აზერბაიჯანელი მეგობრობდა. მოგვიანებით ამ ხალხს სასტიკად გაუსწორდნენ ის ძალები, რომლებიც ამ რეგიონში პროვოკაციის მოწყობას აპირებდნენ.

– დახოცეს?

– ცოცხალი მხოლოდ 2 მათგანი გადარჩა, დანარჩენები ფიზიკურად გაანადგურეს. ისინი სხვადასხვა დროს, საეჭვო ვითარებაში, ავტოავარიებში დაიღუპნენ.

– ისინი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები იყვნენ?

– დიახ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები იყვნენ, ინფორმაცია მათ მოგვაწოდეს და ამისთვის დიდი მადლობა მათ. როცა პირველად გვითხრეს ეს ამბავი, როგორც უკვე გითხარით, არ დავიჯერეთ. იმათ არ დაიშალეს და ამტკიცებდნენ, რომ რაღაც საშინელება იგეგმებოდა. იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ ამას აზერბაიჯანი არ ამზადებდა. თავისი რომ არ დაიშალეს, ვუთხარით, რომ რამენაირად დაემტკიცებინათ.

ცოცხლად გადარჩენილებიდან ერთ-ერთმა დარეკა აზერბაიჯანის მაშინდელ პრეზიდენტ ელჩიბეისთან და ყველაფერი უთხრა.

– ეს ადამიანი ასე ახლოს იცნობდა პრეზიდენტს, რომ დაურეკა?

– ძალიან კარგად იცნობდა. ეს ადამიანი აზერბაიჯანის გათავისუფლებისთვის იბრძოდა. მისი 2 ბიძა რუსებმა ბაქოს სისხლიანი მოვლენების დროს მოკლეს, ისინი გმირების პანთეონში არიან დაკრძალული.

ელჩიბეიმ ჩვენი მეგობრის ზარზე სასწრაფო რეაგირება მოახდინა. მან გადმორეკა იმ რაიონების ხელმძღვანელებთან, რომლებიც საქართველოს ესაზღვრებოდა. პრეზიდენტმა ისინი კატეგორიულად გააფრთხილა და უთხრა, ყველა ის ადამიანი, ვინც საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ წავა, არის რუსეთის აგენტი და სასტიკად დაისჯებაო.

ამ სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე დღეში სიტუაცია განიმუხტა და საქართველო მაშინ სისხლისღვრას გადაურჩა. ქვემო ქართლშიც იყვნენ პროვოკატორები, ვინც საქართველოდან გამოყოფას ითხოვდა. რუსეთი მათი გამოყენებით ცდილობდა დაპირისპირების კერის შექმნას. რაც ქვემო ქართლში ვერ განახორციელა, აფხაზეთში კარგად გამოუვიდა.

– აფხაზეთის მიმართულებით რატომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოხერხდა?

– იმ დროს არც მერაბ კოსტავა აღარ იყო ცოცხალი, ზვიად გამსახურდია ქვეყნიდან იყო გაგდებული, ხოლო ჩვენ შევარდნაძის მთავრობა, როგორც ცოფიან ძაღლებს, ისე დაგვდევდა. აფხაზებმა ვერავინ გამონახეს ისეთი, ვისაც დაელაპარაკებოდნენ.

– ისევ გაზპრომის თემას დავუბრუნდეთ. ელჩიბეისთან დაკავშირებული ამბის გამო ეწინააღმდეგებით რუსული გაზის შემოსვლას?

– დიახ, სწორედ ამის გამო არ მინდა, რომ რუსულმა გაზმა კონკურენცია გაუწიოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას. ამის გარდა, აზერბაიჯანს ნავთობიც აქვს და გაზიც. პლუს ამას, შუა აზიის ქვეყნებიდან ევროპისკენ წამოსულმა ენერგომატარებლებმა ჩვენზე უნდა გაიაროს, მაგრამ სანამ საქართველომდე მოაღწევს, აზერბაიჯანის ტერიტორია ხომ უნდა გაიაროს.

ახლა მითხარით, რატომ უნდა ვაწყენინო კარგ მეზობელს, რომელიც ბუნებრივ აირს ძალიან იაფად მაწვდის. რატომ უნდა ჩავანაცვლო ის უფრო ძვირი გაზით, რომელიც იმ ქვეყანამ უნდა მომაწოდოს, რომელსაც ჩემი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული და მცოცავ ანექსიას ახორციელებს?!

მგონი, საკმარისი მიზეზები დაგისახელეთ, თუ რატომ არ უნდა შემოვიყვანოთ გაზპრომი, მაგრამ მთავარი ეს არ არის.

– არის კიდევ რაიმე მიზეზი?

– არის და თანაც როგორი. საქართველოში ჯერ არავის განუცხადებია ღიად, რომ გაზპრომი იშლება. ის რამდენიმე დამოუკიდებელი კომპანიის გაერთიანებაა. წლების წინ ისინი დამოუკიდებლად აწარმოებდნენ თავიანთ ბიზნესს და დიდი მოგებაც ჰქონდათ. ყველას თავისი პატრონი ჰყავდა. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მეცადინეობით ეს კომპანიები გაზპრომში გაერთიანეს და იქედან მიღებული შემოსავლები კრემლის სალაროში მიედინება.

გაზპრომმა ბევრი ფული იშოვა, მაგრამ მან თავისი თავი ამოწურა და დასავლეთში ძალიან ცუდი იმიჯი აქვს. ამ და სხვა მიზეზების გამო არანებაყოფლობით გაერთიანებული კორპორაცია დაშლის საფრთხის წინაშე დგას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2016 წლიდან მისი ტრანსფორმაცია უკვე დაიწყება.

– თუ იშლებიან, საქართველოში შემოსვლით რატომ იკლავენ თავს?

– კორპორაციის ხელმძღვანელობის ნაწილი წინ იხედება და ცდილობს, ახალი ბაზრები აითვისოს. ეს, ჩემი აზრით, უფრო კერძო ინტერესია, ვიდრე სახელმწიფო.

– გამოდის, რომ გაზპრომს რუსული ჩექმა არ შემოჰყვება?

– რუსებს თუ შემოსვლა უნდათ, გაზის გარეშეც შემოვლენ, მაგრამ გაზპრომი მაინც მიუღებელია. ჯერ ერთი, მათი აირი აზერბაიჯანულზე უფრო ძვირია. მათ არც ხარისხი არ უვარგათ და ის სოკარს კონკურენციას ვერ გაუწევს. ამიტომაც არის, რომ ამ თემაზე ისტერიკა არ გვჭირს.

– მაგრამ მაინც ეწინააღმდეგებით გაზპრომის შემოსვლას.

– ვეწინააღმდეგებით იმიტომ, რომ მიგვაჩნია, რომ დაშლის პირას მისული გაზპრომის გამო, ჩვენი კარის მეზობლის და სტრატეგიული პარტნიორის განაწყენება არ ღირს.

რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა 20 ნოემბრამდე დაიხურება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან აცნობეს, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზის ნამუშევარი საათების რაოდენობის გათვალისწინებით იცვლება ძირითადი გამწევი ბაგირი.

სარემონტო სამუშაოები დაიწყება 9 ნოემბერს და გაგრძელდება 20 ნოემბრამდე. სამუშაოების მიმდინარეობისას საბაგირო გზა დროებით დაიხურება.

სატრანსპორტო კომპანია მოქალაქეებს შექმნილი უხერხულობისთვის ბოდიშს უხდის.

ინტერპრესნიუსი

ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 96 მილიონი ლარით გაიზრდება

ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 96 მილიონი ლარით გაიზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება 96 მილიონი ლარით გაიზრდება. შესაბამისი წინადადებით ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მინისტრთა კაბინეტს დღევანდელ სხდომაზე მიმართა, სადაც 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიც წარადგინა.

– 100 მილიონი ლარით შემცირდება საგარეო დაკრედიტება და აღნიშნული თანხებიდან 96 მილიონი ლარით გაიზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაფინანსება, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მინისტრმა აღმასრულებელ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, წარმოდგენილი ცვლილებები პარლამენტს მიმდინარე კვირასვე გადაუგზავნოს.

ფინანსთა მინისტრის თხოვნის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა წარმოდგენილ პროექტს დღევანდელ სხდომაზე მოიწონებს, რის შემდეგადაც განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება.

ინტერპრესნიუსი

ვალერი გელბახიანი: „ხელისუფლება მოშიმშილეებს უნდა დაელაპარაკოს“

„რუსთავი 2-ის ამბები მთავრობას შეიწირავს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში სამართლიან არჩევნებსა და ნორმალურ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების და სხვა მოთხოვნებით მთავრობის ადმინისტრაციასთან შიმშილობა დაიწყეს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერებმა.

პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოყენებას საგანგაშოს უწოდებს ყოფილი დეპუტატი, იურისტი ვალერი გელბახიანი.

– როდესაც პოლიტიკოსები იწყებენ შიმშილობას პროტესტის ნიშნად, ეს ყოველთვის საგანგაშოა. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სამართლიანი არჩევნების მოთხოვნას. ასეთ დროს პროტესტი ექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, – განუცხადა „ახალ თაობას“ ვალერი გელბახიანმა.

– ხელისუფლებამ ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს?

– რა თქმა უნდა, და რაც შეიძლება მალე. ნორმალური არჩევნები და ხმების დაცვა არ არის განყენებული მოვლენა, რომელიც საზოგადოებას არ აინტერესებს. ესაა ხალხის არჩევანის უფლება. ადამიანებს უფლება აქვთ აირჩიონ ის, ვინც უნდათ. არჩევნები არ უნდა ყალბდებოდეს.

ისეთი სიტუაციაა, როცა ხელისუფლების ინტერესი წინააღმდეგობაშია ხალხის მოთხოვნებთან. ამ ვითარებაში ხელისუფლებამ დიალოგი უნდა დაიწყოს აქციის მონაწილეებთან. სამართლიანი არჩევნების თემა აწუხებს ყველა პარტიას, მთელ საზოგადოებას. ადრე თუ გვიან, ხელისუფლებას მოუწევს დათმობაზე წასვლა. ამიტომ, ჯობია, დიალოგი ახლავე დაიწყოს. პროტესტის უკიდურესი ფორმა, შიმშილობა, დიალოგში უნდა გადაიზარდოს.

– საარჩევნო რეფორმა აქამდე უნდა განხორციელებულიყო?

– ეს იყო აუცილებელი. ხელისუფლება რომ ამაზე არ წავიდა, ამით საკუთარ თავს მიაყენა ზიანი. ეტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ საარჩევნო პროცესებს გააკონტროლებდნენ. მიიღეს უკუშედეგი. საარჩევნო რეფორმას ყველა მოითხოვს. პროტესტმა შეიძლება ფართო ხასიათი მიიღოს და მასობრივი გახდეს.

– მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებიც მოექცა.

– ხელისუფლება ძალიან მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესებს. ვერ გააცნობიერა, რომ რუსთავი 2 ინდუსტრიული და გავლენიანი ტელეკომპანიაა. ესაა დომინანტი მედიასივრცეში. ქიბარ ხალვაშის დავამ წილებზე თავიდანვე გააჩინა კითხვები და ეჭვები.

– რას გულისხმობთ?

– თავიდანვე უცნაური იყო მისი საქმის წარმოებაში მიღება სასამართლოში იმ დროს, როცა სხვა მოდავეებს და სამართლიანობის აღდგენის მსურველებს ეს არ შეუძლიათ. რომ მიეღოთ სპეციალური კანონი ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, სხვა საქმე იქნებოდა.

იურისტებში ეჭვები გააჩინა იმანაც, რომ სამოქალაქო დავა ფაქტობრივად გადაიზარდა სამეწარმეო დავაში. ეს ადამიანებს აფიქრებინებს, რომ აქ არის ხელისუფლების დაინტერესება. ხელისუფლებამ თვითონაც გააჩინა კითხვები იმით, რომ გამჭვირვალობის და სიცხადის შეტანის ნაცვლად, დაიწყო თავის მართლება. პრაქტიკულად, ხელისუფლებამ აიკიდა ეს პრობლემა.

– არსებობს მოსაზრება, რომ რუსთავი 2-ის ამბებს მთავრობაში რამდენიმე პირი შეეწირება.

– ალბათ, ამას მთავრობა შეეწირება. ეს საერთაშორისო ზეწოლით მოხდება. ყველას გვახსოვს 2007 წლის მოვლენები და სააკაშვილის რაზმების შევარდნა ტელეკომპანია იმედში. ძლიერი პოზიციების მქონე სააკაშვილი მაშინ აიძულეს, გადამდგარიყო. ახლა დარბევა არ მომხდარა, სხვა მოვლენებია, მაგრამ უცხოეთში საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლება ერევა თავისუფალი მედიის საქმიანობაში. ამიტომ, რეაქცია მკაცრია.

„რუსთავი 2 არჩევნებამდე შენარჩუნდება“

ვფიქრობ, ეს არხი 2016 წლის არჩევნებამდე თავს შეინარჩუნებს.

ნინო გვენეტაძე: „მოსამართლე ურთმელიძისგან ანგარიშს კი არა, ინფორმაციას ვითხოვდით“

ნათია ხურცილავა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ამბობს, რომ ყველა კითხვას, რომლებიც საზოგადოებას სასამართლოსთან დაკავშირებით გაუჩნდა, პასუხი დაუყოვნებლივ უნდა გაეცეს.

„ახალი თაობის“ კითხვას, თუ რატომ ვერ უზრუნველყო საქალაქო სასამართლომ საზოგადოების ინფორმირებულობა რუსთავი 2-ის ცნობილ განჩინებაზე, ნინო გვენეტაძე ასე პასუხობს:

– ეს კითხვა მეც მაქვს.

– პარლამენტმა, როგორც მხარემ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, რომ მოსამართლეების აცილება მოხდეს. რა შეგიძლიათ, ამ საკითხზე თქვათ?

– ეს საკითხები მხოლოდ კონკრეტული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებშია. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, ამ საკითხებზე იმსჯელოს და საპროცესო წესდებითა და ფორმით პასუხი მიიღოს საზოგადოებამ.

ჩემი მთავარი მიზანი საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიმართ არის ის, რომ კანონის ფარგლებს არ გავცდეთ და ვიყოთ ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე.

ამ პროცესის განხორციელების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს ექნება სურვილიც და ვალდებულებაც, რომ საზოგადოებისთვის განმარტება გააკეთოს, ისე, როგორც ჩვენ

გვაქვს ამის სურვილი, მაგრამ ხშირად ვერ ვასრულებთ იმ ვალდებულებას, რომელიც გვაქვს.

– ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გულისხმობთ?

– დიახ. ეს აშკარად გამოჩნდა, როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად ვერც საქალაქო სასამართლომ და ვერც იუსტიციის საბჭომ დროულად ვერ მიაწოდა ინფორმაცია საზოგადოებას.

ჩემი აზრით, ამან გამოიწვია ის განსხვავებული შეფასებები, რომლებიც ასევე იყო კრიტიკის საგანი. ჩემი პირველი საზრუნავი არის ის, რომ საქალაქო სასამართლოში დეტალურად გავარკვიო საკითხები მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

– კონკრეტულად რა გაინტერესებთ საქალაქო სასამართლოსგან?

– ინფორმაციის უქონლობის თაობაზე მაინტერესებს. ინფორმაცია ტრადიციულად კეთდება საქალაქო სასამართლოში. რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით პირველ გადაწყვეტილებაზე საქალაქო სასამართლომ ორგზის გააკეთა მსგავსი განმარტება, რამაც საზოგადოებას და თქვენც, ჟურნალისტებს, მოგცათ საშუალება, გქონოდათ იმ კითხვებზე პასუხები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო საზოგადოების მიერ დაყენებული. ამიტომ ეს საკითხები არ დარჩება უგულებელყოფილი.

საბჭოს წევრებთან ერთად ან დამოუკიდებლად საქალაქო სასამართლოში შევხვდები საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციას, სასამართლოს თავმჯდომარეს, სპიკერ-მოსამართლეს, პრესცენტრს, სადაც ჩვენ გვექნება მსჯელობა ამ საკითხზე, რომ დროულად მივცეთ ანგარიშვალდებულების ფორმატში საზოგადოებას ინფორმაცია.

საქალაქო სასამართლოს აქვს სპიკერ-მოსამართლის რესურსი. ის ერთ-ერთი უმსხვილესი სასამართლოა, მას ჰყავს სპიკერ-მოსამართლე და აქვს განცხადების გაკეთების ტრადიცია.

– ამ შემთხვევაში რატომ არ მიმართა ამ ტრადიციას?

– ეს კითხვის ნიშანი არსებობდა ჩემთვისაც და ამ კითხვაზე პასუხს ველოდი საერთო სასამართლოებიდან, კონკრეტულად – საქალაქო სასამართლოდან. მე კომუნიკაცია მქონდა როგორც საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ქვეყანაში არ იმყოფებოდა, ისე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან, მენეჯერთან და პრესცენტრთან, მაგრამ ვერცერთი ამ სუბიექტისგან ინფორმაცია ვერ მივიღე იმის შესახებ, თუ რატომ არ გაკეთდა განცხადება.

– თქვენ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის რა უნდა გააკეთოთ? რა ხარვეზებს ხედავთ ამ პროცესში?

– განჩინებასთან დაკავშირებით ხარვეზებს კატეგორიულად ვერ დავიფიქსირებ. სამართალწარმოების პროცესი გრძელდება, ამიტომ ჩემი შეფასებები მიმდინარე პროცესზე გამორიცხულია.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ ნაკლოვანებები ცალსახად გამოჩნდა. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის ანგარიშს კი არ ითხოვდა ვინმე, არამედ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას განჩინებაში არსებულ პრობლემურ კითხვებთან დაკავშირებით.

ეს არ ნიშნავს განჩინების შინაარსში შესვლას, ეს არ ნიშნავს მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნას. ერთადერთი ფორმატი, სადაც შეიძლება მოსამართლის პოზიციის მოსმენა, არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ეს არის მხოლოდ მოსმენა და არა – ანგარიში. მე ასეთი შეთავაზება გავუკეთე მოსამართლეს, მაგრამ ამის გამო არაეთიკურადაც კი გამაკრიტიკეს ჩემმა კოლეგებმა, თუმცა გარწმუნებთ, სხვა საკანონმდებლო შესაძლებლობა მოსამართლესთან ურთიერთობის არც მე, როგორც თავმჯდომარეს და არც იუსტიციის საბჭოს წევრებს არ გაგვაჩნია.

– მოსამართლემ ამ შესაძლებლობაზე უარი განაცხადა.

– გასაგებია, რომ თვითონ მოსამართლემ განაცხადა უარი მოსვლაზე, მაგრამ გაუგებარია პოზიციები, როდესაც კანონით დადგენილი ფორმატი უარყოფითად შეფასდა.

– მოსამართლე ხელშეუხებელია საზოგადოების კრიტიკისგან?

– არა, მე ვადასტურებ, რომ მოსამართლე კრიტიკას უძლებს. მოსამართლეს თმენის მაღალი ვალდებულება აქვს. საუბარია იმაზე, რომ არ იყოს შეურაცხმყოფელი კრიტიკა და სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს არ მიაყენოს ზიანი, მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა არ დააყენოს ეჭვქვეშ.

სხვა ყველა კითხვა თქვენი, ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმურია. მე ამ პროცესში ვალდებული ვარ, ეს ხაზი სწორად გავატარო. მე ავიღე პასუხისმგებლობა, რომ საქალაქო სასამართლოში ყველა მომდევნო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაკეთდეს არა ანგარიში, არამედ განმარტებები.

– სხვა მოსამართლეებისთვის ეს შემთხვევა შეიძლება, ერთგვარი მესიჯი იყოს?

– ეს მთელი სასამართლო კორპუსისთვის პოზიტიური მესიჯი იქნება, რომ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით სასამართლო უნდა იყოს მომზადებული, იუსტიციის საბჭოს კი უნდა ჰქონდეს რეალური ბერკეტი, რითაც ის საზოგადოების მაღალ ინტერესს დააკმაყოფილებს.

– ქალბატონო ნინო, პრეზიდენტმა თქვა, უზენაეს სასამართლოს ყველაზე პრინციპული და გაუტეხელი ხელმძღვანელი ჰყავსო. რას იტყვით?

– ეს გამოცდა ჯერ კიდევ წინ არის, რადგან სასამართლოს მუდმივი განახლება და რეფორმა სჭირდება. მე ამ გზაზე სირთულეები ნამდვილად შემხვდება, თუმცა, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი სასამართლოს დასამკვიდრებლად ჩემთვის ასეთი განცხადება სტიმულიც არის.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ფედერიკა მოგერინი: „საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მართალია, ვერ გავაკეთებთ წინასწარ პროგნოზს, მაგრამ აშკარად ვხედავთ და ვჭვრეტთ პროგრესს, რომელსაც მიაღწია საქართველომ, – აღნიშნა მოგერინიმ.

მისივე თქმით, ევროკავშირი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს როლს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისა და ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების კუთხით.

როგორც გაირკვა, შეხვედრაზე შიდაპოლიტიკური ვითარებაც განიხილეს და ხაზი გაუსვეს მომავალი საარჩევნო წლის მნიშვნელობას.

ფედერიკა მოგერინი:

– ჩვენ მიმოვიხილეთ პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის საჭიროება, რომ საარჩევნო პროცესები ჩატარდეს მშვიდად, დემოკრატიულად. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ძალუძს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ჩვენ ვისაუბრეთ საჭიროებაზე, რომ დემოკრატიული პროცესები შენარჩუნდეს მთელი 2016 წლის განმავლობაში. ქართველებსა და იტალიელებს კარგად ესმით, რას ნიშნავს ემოციები პოლიტიკაში, მაგრამ, ემოციების გარდა, არსებობს ჩარჩოები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება – ეს გახლავთ მედიაპლურალიზმი, კანონის უზენაესობის პატივისცემა, სასამართლოს დამოუკიდებლობა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარემ შეიკავოს თავი ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ნამდვილად არ იქნება სასარგებლო საქართველოს საზოგადოებისთვის და კონსტრუქციულად იმოქმედონ ამ პროცესის ჩარჩოებში.

* * *

დღის ბოლოს მოგერინი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრებთან ერთად ე.წ. გამყოფ ხაზს ეწვია, რაც, მოგერინის განმარტებით, არის ევროკავშირის მხარდაჭერის გამოხატვა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

– ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ხშირად გავაჟღეროთ ეს მხარდაჭერა. მოხარული ვარ, რომ დღეს პრემიერ-მინისტრისგან მოვისმინე ევროკავშირის სამონიტორინგო მისიის მნიშვნელობის აღიარება და ჩვენ გავაგრძელებთ საკუთარი წვლილის შეტანას სტაბილური გარემოს შექმნის თვალსაზრისით, – განაცხადა ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა.

შეისყიდის თუ არა მაგთიკომი კავკასუსს?

ლალი დავითური

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს მაგთიკომის მიერ შპს კავკასუს ონლაინის კუთვნილი აქტივების შეძენის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ ვერ მიიღო. მომდევნო სხდომა 12 ნოემბრისთვის ჩანიშნა.

ზურაბ კუკულაძე: „კავკასუსის მფლობელობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობს“

რატომ არის ასე აქტუალური კავკასუს ონლაინის გასხვისება ახლანდელი მფლობელებისთვის, გამოიწვევს თუ არა ინტერნეტ ბაზარზე მისი გაყიდვა ფასების გაზრდას? ამ და სხვა საკითხებზე გაზეთი „ახალი თაობა“ ეკონომიკის ექსპერტ ზურაბ კუკულაძეს ესაუბრა.

– კავკასუს ონლაინის აქტივების გასხვისების აუცილებლობა რამ გამოიწვია?

– მე ვფიქრობ, რომ კავკასუს ონლაინი არის ისეთივე პრობლემური აქტივი დღევანდელი მფლობელებისთვის, როგორც სხვა ბევრი აქტივი ჩვენს რეალობაში.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ კავკასუსის მფლობელობასთან დაკავშირებით არსებობს სერიოზული კითხვები, პირველ რიგში, მამია სანადირაძის უფლებების შესახებ. დღეს სასწრაფოდ სურთ კავკასუსის დღევანდელ მმართველებს და მფლობელებს გაასხვისონ ეს ქონება, იმიტომ, რომ უკვე დაიწყო სხვადასხვა დროს წართმეული ქონებების დაბრუნების პროცესი და ამ ციკლში რომ არ მოხვდეს კავკასუს ონლაინი, ამიტომ ხდება სასწრაფო გადაფორმება კომპანია მაგთიკომზე.

– მაგთიკომზე გადაფორმების შემდეგ ველარ გაგრძელდება ამ ქონების გამო დავა?

– მოგეხსენებათ, რომ მაგთიკომს ჰყავს საკმაოდ ძლიერი ლობი ამერიკული კომპანიის სახით. ეს კომპანია მაგთიკომის დაახლოებით ნახევარს ფლობს. როდესაც რამდენიმე წლის წინ პრობლემები შეექმნა საქართველოში მაგთიკომს, საქმეში პირდაპირ ჩაერია ამერიკის მაშინდელი ელჩი ჯონ ტაფტი. ამიტომ, თუ კავკასუსი მაგთიკომის ხელში გადავა, მას ველარ დაიბრუნებენ ძველი მეპატრონეები.

– კავკასუსი მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებს, რაც სავსებით შესაძლებელია კომპანიას ჰქონდეს.

– დღეს საქართველოში ინტერნეტ ბაზარზე სიტუაცია იმდენად სასარგებლოა კავკასუსისა და სილქნეტისთვის, რომ არა მგონია, რაიმე ფინანსურ პრობლემას ჰქონდეს ადგილი. ორივე კომპანია მუშაობს ძალიან მაღალი მარჟით, მათ რამდენიმე ხნის წინ ფასებიც ერთდროულად გაზარდეს, იმ დროს, როდესაც ამის რეალური საფუძველი არ არსებობს.

ჩვენ იმ პერიოდში შევისწავლეთ კავკასუსის და სილქნეტის შემოსავლები და მათი ხარჯები. ხარჯები, ანუ რა ფასადაც შემოაქვთ საქართველოში ინტერნეტი, მცირდება, ხოლო შემოსავლები იზრდება და რატომ არის საუბარი ზოგადად ფინანსურ პრობლემებზე, ჩემთვის გაუგებარია.

– ლარის დევალვაცია ყველა სფეროზე აისახა.

– ჩვენ ლარში დავთვალეთ შემოსავლებიც და ხარჯებიც და მერწმუნეთ, გაცილებით გაზრდილია კავკასუსის შემოსავლები.

– აბა, მაშ რა ხდება?

– რეალურ მიზეზებზე არავინ დაიწყებს საუბარს, ყველაზე ადვილია იმის თქმა, რომ კომპანიას აქვს ფინანსური პრობლემები.

– და მაინც, თუ მოხდა კავკასუსის მაგთიკომისთვის მიყიდვა, ინტერნეტბაზარზე როგორ აისახება მათი გაერთიანება, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არ უნდა გაითვალისწინოს ბაზარზე მონოპოლიის შექმნის საფრთხე?

– კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის პირდაპირ ფუნქციებსა და მოვალეობებში არ შედის ბაზრის მონოპოლიზაციის პრევენცია. მის ფუნქციებში შედის ფასწარმოქმნის დათვლა, ხარისხი, კონტროლი და მსგავსი საკითხები. სამწუხაროდ, ანტიმონოპოლიური კანონი არ გვაქვს, არსებობს კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმე ბაზარზე მონოპოლიის დაფიქსირებაა მას შემდეგ, რაც ეს მონოპოლია დადგება. მე არა მგონია, კომპანიების რეალური ინტერესების შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნულმა სააგენტომ არ მისცეს უფლება მაგთიკომს კავკასუსის ყიდვისა. თუმცა, სააგენტოს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ პერსპექტივაში ამ გარიგებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ეს გაითვალისწინოს.

– მაგრამ ჩვეულებრივ მომხმარებელს სწორედ ეს აინტერესებს, ფასი ხომ არ გაიზრდება?

– კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას რომ ემუშავა სწორად, აქამდე უნდა დაეფიქსირებინა ის დარღვევები, რაც არსებობს ინტერნეტკომუნიკაციების ბაზარზე.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ 5-6 თვის წინანდელ დაფიქსირებულ ფასს, რომელიც სილქნეტმა და კავკასუსმა პრაქტიკულად შეთანხმებულად, იდენტური მოცულობით გაზარდეს. ეს კონკურენციის პრინციპის პირდაპირი დარღვევაა და კომუნიკაციების სააგენტო რომ რეალურად იყოს დაინტერესებული ბაზრის სიჯანსაღით, ამას გაითვალისწინებდა.

– აცხადებენ, რომ კავკასუსით რუსული კომპანია ვიმპელკომიც ინტერესდება. რამდენად საფრთხის შემცველია ვიმპელკომისთვის კავკასუსის შესყიდვა?

– ეს ოფიციალურად მამია სანადირაძემ გააჟღერა, მაგრამ მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუნდაც იმიტომ, რომ რუსული კაპიტალი საკმაოდ მრავლად არის ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი.

თავად ვიმპელკომი რუსული კომპანიაა, მაგრამ არ არის რუსული მმართველობის ქვეშ. მისი სათავო ოფისი არის ამსტერდამში და ჰყავს სხვადასხვა საერთაშორისო დონის მმართველები. ვიმპელკომი ფლობს ბილაინს და სწორედ ბილაინის შემოსვლის შემდეგ, 2007 წლის შემდეგ, ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე კარდინალურად შემცირდა ფასები. თუ იმ შემთხვევაში არ იყო რუსული კომპანიის შემოსვლა საფრთხე, ახლა რატომ უნდა იყოს?

2016 წლიდან საქართველოში აიფადის ინვესტიციები 30%-ით გაიზრდება

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის, აიფადის, პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში 2012 წლიდან აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები და წინსვლა განხორციელდა.

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო სოფლის მეურნეობის მინისტრს მოწვევისთვის და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მოხარული ვარ, რადგან საქართველომ პარტნიორული ურთიერთობითა და თანამშრომლობით აგრარულ სექტორში პროგრესს მიაღწია.

ეს არის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი. ჩვენ მივესალმებით დარგის განვითარების კუთხით თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ინვესტიციების შემდეგი ნაკადი, რომელიც 2016 წელს იწყება, 30%-ით გავზარდოთ, – განაცხადა ფონდის პრეზიდენტმა კანიაო ვანჟემ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი კანიაო ვანჟე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას მოწვევით იმყოფება.

– სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი საქართველოში 1997 წლიდან მოღვაწეობს და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დონორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემაში.

დღეისათვის ფონდს განხორციელებული აქვს 4 პროექტი, საერთო ღირებულებით, დაახლოებით, 120 მლნ აშშ დოლარი.

ამჟამად ფონდი ახალ ოთხწლიან პროექტს – „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი“ აფინანსებს, საერთო თანხით 19 მლნ აშშ დოლარი. პროექტის მიზანი სოფლად მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციის მთლიანი ჯაჭვის ხელშეწყობას ითვალისწინებს, – განმარტავენ სამინისტროში.

ივანიშვილი ნახევარმილიარდიან პროექტს აფინანსებს

– ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრ „ცერნის“ მონაწილეობით ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების უნიკალური პროექტი ხორციელდება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიას“ მესამე პავილიონში განაცხადა, სადაც მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა და გამოფენა დაათვალიერა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული არის მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიება, რომელიც კარგად გამოხატავს საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას განათლებისა და მეცნიერების მიმართ.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ჩატარების თარიღი სიმბოლურია, ვინაიდან ეს კვირეული იხსნება 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მთავრდება 17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს.

– ეს დღე საქართველოში პირველად აღინიშნება ასე მასშტაბურად და, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველწლიურად გაგრძელდება და ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდება. თბილისი და მთლიანად საქართველო უმასპინძლებს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს და შეუერთდება მსოფლიოს იმ წამყვან ქალაქებს, რომლებშიც მსგავსი ფესტივალები ტარდება, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ამ კვირეულს აქვს მრავალმხრივი დატვირთვა და მიზნები.

– პირველი, ეს არის სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა, ასევე ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა, იდეების გაცვლა ფართო საზოგადოებისთვის, ასევე საერთაშორისო გაღრმავება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ახალგაზრდა მკვლევრების ჩართულობა, მათი მოტივაციის გაზრდა, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება ამ კუთხით, მათი ჩართულობა სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებში, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, გამოფენაზე მისულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, „ცერნის“ ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის მოძრავი გამოფენა დაათვალიერონ, რაც ასევე ძალიან საინტერესოა,

ის პირველად იმართება კავკასიის რეგიონში, რომლის საშუალებით ქართველი საზოგადოება მსოფლიო მეცნიერების უახლეს და უმნიშვნელოვანეს მიღწევებს ეზიარება.

– მინდა, ყველას შეგახსენოთ, რომ „ფონდ ქართუს“, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრ „ცერნის“ მონაწილეობით ხორციელდება ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების უნიკალური პროექტი, რაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის, ჩვენი ახალგაზრდების ჩართულობისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოში იმპორტირებული ხორცის 47% ბრაზილიიდან შემოდის

2014 წლის მონაცემებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის იმპორტიორი ქვეყნები ბრაზილია, ინდოეთი, გერმანია და უკრაინაა. ბრაზილიაზე – იმპორტის 47%, ინდოეთზე – 27%, გერმანიაზე – 13%, უკრაინაზე – 4% ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე 9% მოდიოდა.

ინფორმაციას ექსპორტის პოტენციალის მქონე 21 პრიორიტეტული პროდუქტის ჩამონათვალი შეიცავს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, საშუალოდ, 300-350 კილოგრამს იწონის, რაც ბევრად ნაკლებია მეხორცული მიმართულების თანამედროვე ჯიშებთან შედარებით.

საქართველოში ფურის საშუალო წველადობა წელიწადში 1,0-1,5 ტონას შეადგენს, მაშინ როდესაც თანამედროვე ჯიშებში წველადობის მაჩვენებელი წელიწადში 4,5 ტონას აღემატება.

პროდუქტიულობის მაღალი ხარისხის მიღწევა შესაძლებელია ჯიშობრივი განახლებით, სწორი კვებითა და მოვლის თანამედროვე მეთოდების დანერგვით. საქართველოში პირუტყვის ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 71%-ს შეადგენს.

2014 წელს პირუტყვის ხორცის საცალო საბაზრო ფასი 12,2 ლარიდან 12,9 ლარამდე მერყეობდა. 1 კგ ხორცის ღირებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თებერვალში დაფიქსირდა და მან 12, 2 ლარი შეადგინა.

პრიორიტეტული პროდუქტების ნუსხაში, პირუტყვის ხორცის გარდა, თხილის, მოცვის, ვაშლის, მანდარინის, ბლის, ატმის, კიტრის, პომიდვრის, ხახვის, სტაფილოს, მწვანილის, კარტოფილის, ღორის ხორცის, ფრინველის ხორცის, მტკნარი წყლის თევზის, რძის პროდუქტების, ჩაისა და ხორბლის წარმოება მოხვდა.

კომერსანტ.გე

ზურაბ ჯორბენაძე: „არ მინდა, რესპუბლიკელების ტერორში ვიცხოვრო“

გულიკო ბალაძე

ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს. რა არის ამ რადიკალური გადაწყვეტილების მიზეზი?

ადვოკატის თქმით, მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი დავალებაა გაცემული მის პასუხისგებაში მიცემაზე.

ზურაბ ჯორბენაძე:

– მაქვს ინფორმაცია, საგარეჯოს პოლიციის აქვს პირდაპირი დავალება მიცემული, რაიმე ამომიჩიჩქნოს და აუცილებლად მიმცეს პასუხისგებაში, რითაც კიდევ ერთხელ შეეცდებიან ჩემს გაჩუმებას. ეს ერთხელ მოხდა უკვე 2010 წელს, მეექვსე წელიწადია ბრალდებული ვარ და ვერაფრით მოვიხსენი ეს სტატუსი. ამჟამად, როგორც ჩანს, შეეცდებიან ახალი სისულელე დამაბრალონ. თუ ეს მოხდება, მრჩება სამართლებრივი ბრძოლის გზა.

არ მსურს ვიცხოვრო რესპუბლიკური პარტიის ტერორში და იმ უკანონობაში, რაც ხდება. ამიტომ, სანამ რესპუბლიკური პარტია იქნება ხელისუფლებაში, უარს ვამბობ საქართველოს მოქალაქეობაზე. ამის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს მივმართავ. მოქალაქეობას მაშინ დავიბრუნებ, როცა რესპუბლიკური პარტია აღარ იქნება ხელისუფლებაში.

რა გახდა ზურაბ ჯორბენაძის ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზეზი?

ზურაბ ჯორბენაძე გახლდათ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საგარეჯოს რაიონში, სადაც არჩევნების დღეს მასზე მოხდა თავდასხმა.

– როგორ მიდის გამოძიება?

– თავდასხმის ფაქტზე გამოძახებულ პოლიციას არავინ დაუკავებია, რისი ლეგიტიმაციაც მას ჰქონდა. ჩვენებაში პირდაპირ მივუთითე იმ პირებზე, ვინც თავს დამესხა.

ყელში ხელებს მიჭერდნენ, თავში მირტყამდნენ, მანქანის გასაღები წამართვეს. ამ ფაქტს არც სამართლებრივი რეაგირება მოჰყოლია და არც პოლიტიკური.

– საქმე ხომ აღიძრა?

– საქმე აღიძრა იმის გამო, რომ მე 112-ზე დავრეკე, ოფიციალური შეტყობინება არსებობდა, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს თავს დაესხნენ და პოლიცია ამას ვერ ჩაფარცხავდა.

– მინიმუმ ვის უნდა გაეკეთებინა განცხადება?

– მინიმუმ განცხადება უნდა გაეკეთებინა პარლამენტის ან მთავრობის რომელიმე წევრს, რადგან თავდასხმა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე მოხდა. მით უმეტეს, ეს პოლიციისთვის იმთავითვე იყო ცნობილი.

დადასტურებული ინფორმაცია მაქვს, საგამოძიებო ორგანოებს დავალება აქვთ მიღებული და მუშაობენ ჩემ მიმართ ბრალის შეთითხნაზე

თავდასხმის შედეგად ძალიან ცუდად ვიყავი, მივიღე სტრესი და ვიგრძენი უპატრონობა, რომელიც ქვეყანაშია. თავს ვინც დამესხა, მას დაჰყავდა ადამიანები საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად და ჩემთან საუბარში განაცხადა, საარჩევნო უბნები მე მაბარიაო.

– ჩვენება მიეცით?

– ჩვენება მივეცი. მას შემდეგ 11 დღე გავიდა.

– ვინ იძიებს?

– საქმეს იძიებს იორმუღანლოს პოლიციის განყოფილება, რაც საკვირველია.

– რატომ?

– როგორც ოფიციალურ პირზე, დეპუტატობის მაჟორიტარულ კანდიდატზე თავდასხმას მინიმუმ რაიონის პროკურატურა მაინც უნდა იძიებდეს.

ჩვენების მიცემის შემდეგ, რამდენიმე დღეში გამომძიებელი მიკავშირდება და მეუბნება, ძალიან ბევრი მოწმეა დასაკითხი და ჩვენ ვიქნებით ობიექტურიო.

ჩემი თვითმიზანი არ არის, ვიღაც აუცილებლად მკაცრად დაისაჯოს. უბრალოდ, მართლმსაჯულების განხორციელება არ ხდება.

ზურაბ ჯორბენაძის აღშფოთება გამოიწვია ინფორმაციამ, რომ შეიძლება ახალი ბრალი შეუთითხნონ.

– მე აშკარად დავუპირისპირდი რესპუბლიკურ პარტიას, რადგან ეს არ იყო არჩევნები. ეს იყო ბრძოლა ხელისუფლებაში დარჩენისთვის.

– დაპირისპირება რაში გამოიხატა?

– საჯაროდ განვაცხადე, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნები გააყალბა. რაც შემდეგ მოხდა, ამაზრზენი იყო. საჩივრების განხილვისას სიღნაღის მოსამართლე ბუგიანიშვილმა ისეთი ამაზრზენი რამ გააკეთა, მის სამართლიანობაზე ვერ იმსჯელებ.

– რა გააკეთა ამაზრზენი?

– სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დილის 8 საათზე ჩამბარდა. პროცესი კი იმ დღეს 12 საათზე იყო.

– პროცესი თქვენს საჩივარზე იყო?

– არა, საჩივარი ირმა ინაშვილის გახლდათ. მე მხარე ვიყავი და ჩემ მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი დაირღვა.

იყო მეორე ფაქტორიც – თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებაზე საჩივარი განიხილა. სხდომას ვესწრებოდი.

საქმეს იხილავდა მოსამართლე მერაბ ლომიძე თეა ძიმისტარიშვილისა და ირაკლი შენგელიას მონაწილეობით. როგორც საქმეში მონაწილე მესამე პირმა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირე, რომ დარღვევების გამო არჩევნების შედეგები უნდა გაუქმებულიყო. ამაზრზენი ის იყო, რომ მოსამართლე ლომიძე პროცესის მსვლელობისას ღიად იცავდა ხელისუფლების პოზიციას.

სხდომას ესწრებოდა ქალბატონი კორძაია და კიდევ რამდენიმე რესპუბლიკელი. საგარეჯოს არჩევნებით დავინახეთ, რომ საქართველოში სასამართლოზე ზეწოლა გადაიბარა რესპუბლიკურმა პარტიამ და ახლა ე.წ. პარადი სასამართლოში რესპუბლიკურ პარტიას მიჰყავს.

– რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები რომ არ დასწრებოდნენ სხდომას, სასამართლოს გადაწყვეტილება როგორი იქნებოდა?

– ამ შემთხვევაში არა მხოლოდ მოსვლით ახდენდნენ გავლენას, სხვა ზეგავლენაც იყო.

ზურაბ ჯორბენაძე ირწმუნება, აქვს მყარი ინფორმაცია, რომ რესპუბლიკელების მითითებით, მის მიმართ ახალი ბრალის შეთითხვნას ცდილობენ.

ზურაბ ჯორბენაძე:

– მაქვს მყარი ინფორმაცია, რომ რესპუბლიკური პარტიის ძალიან ზედა ეშელონებში, ქალბატონი ხიდაშელი და სხვები გაბრაზებული არიან ჩემზე, რადგან რესპუბლიკურ პარტიაზე სიმართლეს ვამბობ.

ახლა მაცნობეს, რომ მიმდინარეობს ახალი საზიზღარი რაღაცების შეთითხვნა ჩემ მიმართ.

– მაინც რა უნდა შეგითითხნონ?

– წარსულიდან რაღაცას თითხნიან, ეძებენ ჩემს წარსულ საქმიანობაში. ამის შესახებ დღეს გამაგებინეს.

– ამის რაიმე საფუძველი არის?

– რამეს დამაბრალებენ. როცა მართლმსაჯულებას სინდისი არ აქვს (არც არასოდეს ჰქონდა ნაცმოძრაობის დროს), ყველანაირი საფუძველი არსებობს, ნაურაზე მომაწებონ ახალი ბრალდება. დადასტურებული ინფორმაცია მაქვს, საგამოძიებო ორგანოებს დავალება აქვთ მიღებული და მუშაობენ ბრალის შეთითხვნაზე.

– დავალება ვისგან არის მიცემული?

– სავარაუდოდ, რესპუბლიკური პარტიისაგან. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სასამართლოა რესპუბლიკურ პარტიასთან გარიგებაში, არამედ – პროკურატურაც, რადგან პროკურორებიც არ დასაჯეს, ყველა პროკურორი თავის ადგილზეა. ამიტომ, თუ პროკურატურა ისე მოიქცევა, როგორც 2010 წელს მოიქცა, გადავწყვიტე მივმართო რადიკალურ ზომას და უარი ვთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. თუ ტერორისტივით დამაკავებენ, როგორც 2010 წელს, მე უარს ვიტყვი საქართველოს მოქალაქეობაზე. არ მინდა ვიცხოვრო რესპუბლიკელების ტერორში.

ადვოკატ გიორგი მდინარაძეს „ადამიანის უფლებათა სახლის“ წარმომადგენლები დაიცავენ

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ წარმომადგენლები 12 ნოემბერს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით პრესკონფერენციას გამართავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, პრესკონფერენციას ასევე დაესწრება დაზარალებულის ადვოკატი მუხრან ღურწკაია.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ და მისი წევრი ორგანიზაციები გმობენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტს და მოითხოვენ, მომხდარს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს და აღნიშნული ფაქტი უმოკლეს ვადაში გამოიძიონ.

„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ წარმომადგენლები პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვენ.

მდინარაძის ინტერესებს „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ უფლებადამცველთა მობილური ჯგუფის იურისტი ეკა ქობესაშვილი და ადვოკატი მუხრან ღურწკაია იცავენ.

მდინარაძის საქმის გამოძიება უკვე დაწყებულია, დაზარალებული უკვე დაკითხეს პროკურატურის წარმომადგენლებმა.

– საქართველოში ამ დრომდე არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა, რომ პოლიციელებს ხელი შეეშალათ ადვოკატისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას და ფიზიკურად გასწორებოდნენ მას, – აცხადებენ „ადამიანის უფლებათა სახლში“.

ინტერპრესნიუსი

„საქართველოს ბანკი“ შსს-ს მაღლობას უხდის

„საქართველოს ბანკი“ შსს მიერ 10 მილიონამდე ლარის საქმის გახსნას ეხმაურება.

– პირველივე დღიდან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში და სამართალდამცავების ოპერატიულობისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად ეს საქმე ცხელ კვალზე გაიხსნა. ამ საქმის გახსნა, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. იმედს გამოვთქვამთ, რომ მესამე დამნაშავეც დაკავებული და სათანადოდ დასჯილი იქნება. კიდევ ერთხელ გვსურს, მადლობა მოვახსენოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, – ნათქვამია „საქართველოს ბანკის“ განცხადებაში.

შსს-მ „საქართველოს ბანკიდან“ 10 მილიონამდე ლარის ქურდობის საქმე გახსნა.

როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1971 წელს დაბადებული თამარ კ. და 1966 წელს დაბადებული მალხაზ ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამჟამად ძებნაში მყოფი 1977 წელს დაბადებული ილია გელაშვილი მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ საცავიდან 9.197.771 ლარს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა. გამოძიებით დადგინდა, რომ ნაქურდალი ფული თამარ კ-მ და მალხაზ ბ-მ, წინასწარი შეთანხმების თანახმად, გადამალეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად თამარ კ. და მალხაზ ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკისას მოპარული თანხის ძირითადი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ილია გელაშვილის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ფულადი თანხის ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

ინტერპრესნიუსი

ლევან იზორია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ ნილ მუიჟნიეკსს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ ნილ მუიჟნიეკსსა და მის მრჩევლებს – ქრისტინა მარდიროსსიანს, ოლენა პეტსუნსა და ჟილ ბრუილს – შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კონსტანტინე კორკელია და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე.

შეხვედრაზე მხარეებმა 2015 წლის აგვისტოში განხორციელებული რეფორმა მიმოიხილეს, რომლის შედეგადაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შეიქმნა.

ევროპის საბჭოს დელეგაცია, ადამიანის უფლებათა კომისრის ნილ მუიჟნიეკსის ხელმძღვანელობით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება და ვიზიტის ფარგლებში ახორციელებს შეხვედრებს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

მერკელი: „რუსეთს სანქციები გაუგრძელდება“

ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას აპირებს. ამის თაობაზე გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა.

მიზეზი რუსეთის მიერ მინსკის შეთანხმებების სისტემატური დარღვევაა. ევროპელები განსაკუთრებით უკანასკნელი დღეების ინციდენტებმა აღაშფოთა. როგორც ცნობილია, გასულ შაბათ-კვირას დონბასელმა სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა მაიორსკის აღება სცადეს. ამას გარდა, განხორციელდა პესკის, გრანიტნოეს, ავდეევკას ბომბარდირება. სეპარატისტებმა რუს ჯარისკაცებთან ერთად მარინკაზეც მორიგი იერიში მიიტანეს.

სროლის შედეგად დაიღუპა 1 უკრაინელი ჯარისკაცი, 6 დაჭრილია.

უკრაინელებმა მტრის ყველა შეტევა მოიგერიეს და პოზიციები შეინარჩუნეს. რუსების დანაკარგია 4 მოკლული და 10 დაჭრილი. ამ შეტაკებების შემდეგ დონეცკსა და ლუგანსკში ახალი რუსული ნაწილები შეიყვანეს. პროვოკაციები კი არ წყდება. შეტაკებებს ადგილი ჰქონდათ მარიუპოლთან, ლუგანსკთან, დონეცკთან, გორლოვკასთან.

– ვერ ვხედავ მიზეზს, რათა სანქციები გაუქმდეს, ან თუნდაც შესუსტდეს. სავარაუდოდ, დეკემბრის სამიტზე ევროკავშირი რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს ვადას გაუგრძელებს. ყოველ შემთხვევაში, მე ამას მხარს დავუჭერ, – ამბობს მერკელი.

რუსეთის პრემიერმა მედვედევმა ევროპელი პოლიტიკოსების განზრახვას უსამართლო უწოდა.

მისი აზრით, უკრაინაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და შეტაკებების განახლებაში რუსეთი არაფერ შუაშია. მედვედევმა კვლავ დაიწყო მტკიცება, რომ დონბასში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იმყოფება. პრემიერის ეს განცხადება თვით სეპარატისტების ერთ-ერთმა ლიდერმა, ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გირკინმა გააბათილა:

– დონბასელ მოლაშქრეთა რაოდენობა სადღეისოდ 47.000. აქედან 9.000 რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცია, შემდეგ მოდიან კაზაკები, დნესტრისპირელი, აფხაზი, ოსი მოხალისენი, ევროპიდან ჩამოსული ანტიფაშისტები. დონბასის მკვიდრი მოსახლეობის ოდენობა 8.000-ს არ აღემატება, – აცხადებს გირკინი.

ის არ მალავს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ დონბასელების უმრავლესობამ სეპარატიზმს მხარი არ დაუჭირა.

– როცა გროზნოს ან სხვა ჩეჩნური ქალაქების დაბომბვა დაიწყო, ჩეჩნების უმრავლესობამ იარაღს მოკიდა ხელი. დონეცკის გრადებით დაუთოების შემდეგ კი დონბასიდან მოსახლეობის გახიზვნა დაიწყო. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როცა „ნოვოროსიისთვის“ არა მისი მკვიდრი მოსახლეობა, არამედ რუსი ჯარისკაცები და ჩამოსული მოხალისეები იბრძვიან, – ამბობს გირკინი.

რუსული მხარე ცდილობს, სანქციების გაგრძელება თავიდან აიცილოს. რუსი პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების გამოსვლებში ხაზი ესმება იმ მძიმე ჰუმანიტარულ სიტუაციას, რაც დღეს დონბასში შეიქმნა. პოლიტოლოგი მარკოვიც მოუწოდებს ევროპას, რათა დონბასს ჰუმანიტარული კატასტროფის აცილებაში დაეხმაროს.

ევროპა კი კატეგორიულია: მინსკის შეთანხმებები უნდა შესრულდეს! არგუმენტი, რომ რუსეთი კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენს, მიუღებელია. უკრაინაში მიმდინარეობს არა სამოქალაქო ომი, არამედ შეიარაღებული დაპირისპირება რუსეთ-უკრაინას შორის. ზოგიერთი ცნობილი სპეციალისტი შექმნილ სიტუაციაში პრეზიდენტ ობამასაც ადანაშაულებს:

– დონბასში რუსული არმიის შეჭრა ობამას გაუბედავმა პოლიტიკამ განაპირობა, – აცხადებს პენტაგონის ყოფილი ექსპერტი ეველინ ფარკასი.

ევროკავშირიც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციებისთვის ვადის გაგრძელებას აპირებს.

ნიკა თევზაძე

კატალონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა

კატალონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სათანადო დადგენილება ამ ავტონომიური რეგიონის პარლამენტმა მიიღო.

შემუშავებულია აგრეთვე „საგზაო რუკა,“ რაც ეტაპობრივად ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

– ეს უპასუხისმგებლო და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებაა! – განაცხადა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ მარიანო რაჰოიმ.

პრემიერის აზრით, ესპანეთის კონსტიტუცია რომელიმე რეგიონის ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, კატალონიის პარლამენტს ასეთი დადგენილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

პრემიერმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეიტანს. თუკი სეპარატისტები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებიან, მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები გატარდება.

პრემიერმა არ დააკონკრეტა, თუ რა ზომების გატარებას გულისხმობდა.

ცნობილი ესპანელი იურისტი, პროფესორი გარსია თვლის, რომ კატალონიის გარშემო სახიფათო სიტუაცია იქმნება. სეპარატისტებს უკვე ჰყავთ შეიარაღებული რაზმები. ესპანეთის მთავრობა კი მხოლოდ სიტყვიერი მუქარებით კმაყოფილდება.

– აუცილებელია მოქმედება! სიტყვიერი გაფრთხილებების დრო წავიდა! – ამბობს გარსია.

ბერლუსკონი პუტინის ლობისტია

ბოლონიაში იტალიის ექსპრემიერი, სკანდალურად ცნობილი პოლიტიკოსი სილვიო ბერლუსკონი ჩავიდა.

ის არანაკლებ სკანდალური ორგანიზაციის „ჩრდილოეთის ლიგის თავყრილობას“ დაესწრო. შემდეგ გაიმართა მიტინგი. ბერლუსკონი მასზე სიტყვით გამოვიდა და სასტიკად დაგმო ევროკავშირის განზრახვა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ვადა გაუგრძელოს.

– ეს არ არის ევროპის ინტერესებში, ეს არ შეესაბამება იტალიის ინტერესებს! – თქვა ბერლუსკონიმ.

ექსპრემიერმა როგორც ევროპის, ასევე მისი მშობლიური იტალიის ხელისუფალთ რუსეთთან მეგობრობისაკენ მოუწოდა:

– ჩემზე ამბობენ, რომ პუტინის მეგობარი ვარ. ეს მთლად ასე არაა. მე პუტინის ლობისტი გახლავართ! რატომ? იმიტომ, რომ რუსეთთან კავშირი ევროპის ინტერესებშია! – განაცხადა ბერლუსკონიმ.

ეგვიპტეში ისლამისტი ტერორისტების ლიდერი მოკლეს

ქაიროში ადგილობრივი ისლამისტი ტერორისტების ერთ-ერთი ლიდერი ალი ალ გარაბლი მოკლეს.

გარაბლი იმ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი იყო, რომელმაც ისლამური სახელმწიფოს მხარდაჭერის თაობაზე ხმამაღლა გამოაცხადა.

გარაბლის დაჯგუფების სინდისზეა არაერთი ტერაქტი, რის შედეგადაც ქალებისა და ბავშვებს სისხლი დაიღვარა.

გარაბლის კვალს ქაიროში მიაგნეს. მან პოლიციას ცეცხლი გაუხსნა და მიმალვა სცადა. ორმხრივი სროლის დროს ტერორისტების ლიდერი ლიკვიდირებულ იქნა.

ხარკოვის ოლქში იარაღის პარტია დააკავეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ხარკოვის ოლქში რუსეთიდან შეტანილი იარაღის დიდი კონტრაბანდული პარტია დააკავა.

ერთ-ერთი დაკავებული ლუგანსკის მცხოვრები აღმოჩნდა.

კონტრაბანდისტები ცდილობდნენ, უკრაინაში შეეტანათ რევოლვერები, კალაშნიკოვის ავტომატები, ნაღმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ხელყუმბარები. არსებობს ეჭვი, რომ ეს შეიარაღება განკუთვნილი იყო ე.წ. „ხარკოველი პარტიზანებისთვის,“ რომლებიც ე.წ. „ხარკოვის რესპუბლიკის“ შექმნისთვის იბრძვიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფირმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალ-სახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

● გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მსოფლიოს ჩემპიონატი თბილისში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

თბილისში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი ჩატარდება. 12-15 ნოემბერს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 25 ქვეყნის 60 გუნდი. დედაქალაქში ჩამოვლენ მოაზროვნეები ავსტრიიდან, აზერბაიჯანიდან, აშშ-დან, ბელარუსიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესტონეთიდან, თურქმენეთიდან, ისრაელიდან, კანადიდან, ლატვიიდან, ლიტვადან, მოლდოვადან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან, ფინეთიდან, ყაზახეთიდან, შვეიცარიიდან, ჩეხეთიდან.

გიორგი მოსიძე:

– ეს იქნება ყველაზე წარმომადგენლობითი და მასშტაბური ღონისძიება მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. აქამდე ჩატარებულ ფორუმებზე ჯერ არასოდეს ჩასულა ამდენი ქვეყნის გუნდი. საქართველო პირველად მასპინძლობს ასეთი დონის ინტელექტუალურ მოვლენას და გპირდებით, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩაივლის.

მსოფლიო ჩემპიონატის თილისმის ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი „მოაზროვნე ბუს“ ავტორია საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ია მეტრეველი.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი 2002 წელს ბაქოში გაიმართა და მას შემდეგ აზერბაიჯანის, რუსეთის, ისრაელის, უკრაინისა და თურქეთის ქალაქები მასპინძლობდნენ. 2012 წლის შემოდგომაზე „რა? სად? როდის?“ კლუბების საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება საქართველოს დედაქალაქს მიანიჭა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ღონისძიებაზე სათამაშოდ ჩამოვა მსოფლიოს ყველა უძლიერესი მოაზროვნე, ალექსანდრ დრუზი, მაქსიმ პოტაშევი, ილია ნოვიკოვი, ბალაშ კასუმოვი, ილია ბერი, ელენა პოტანინა და სხვა. ჩემპიონატს დაესწრება „რა? სად? როდის?“ კლუბების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ანდრეი კოზლოვი.

საქართველოს ღირსებას ოთხი გუნდი დაიცავს: დავით რაფავას, ბესიკ ბუთურიშვილის, დავით სიჭინავასა და ალექსანდრე თარხან-მოურავის ექვსეულები. რაფავას ექვსეული უკვე ორჯერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 2012 და 2014 წლებში, თუმცა პრიზიორებში მოხვედრა დღემდე რჩება ქართველი მოაზროვნეების ძირითად მიზნად.

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გარდა, ღონისძიების პროგრამაშია გახსნითი ტურნირი „მზის და ვარდების მხარეო“, სადაც შეკითხვების თემატიკა საქართველო და თბილისია და მასში მხოლოდ უცხოელი მოაზროვნეები მიიღებენ მონაწილეობას.

პროფესიონალთა თამაშების პარალელურად, ამავე თარიღებში თბილისში თამაშის „რა? სად? როდის?“ მოყვარულთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართება და მასში მონაწილეობა ყველა მსურველს შეეძლება. სულ თბილისს 1000-ზე მეტი მოაზროვნე და თამაშის მოყვარული ეწვევა.

ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთშია

ესპანეთში იმყოფება საქართველოს 21-წლამდე ნაკრები, რომელიც ხვალ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩს გამართავს ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

ალექსანდრე ჩივაძემ ესპანეთთან და შვედეთთან (17 ნოემბერს) სათამაშოდ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: ბექა ქურდაძე (საბურთალო), ბაჩო მიქავა, ლაზარე კუპატაძე (ორივე ლოკომოტივი)

მცველები: ლევან გეგეჭკორი (შუქურა), ლაშა დვალი (დუისბურგი, გერმანია), გიორგი გადრანი (ჩერნომორეცი, უკრაინა), დავით უბილავა (ლოკომოტივი), დაჩი ცნობილაძე (სამტრედია), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), გიორგი ცერცვაძე (ცხინვალი)

ნახევარმცველები: ლაშა ქოჩლაძე, აკაკი შულაია (ორივე ცხინვალი), საბა ლობჟანიძე, ოთარ კიტეიშვილი (ორივე დინამო თბ), გიორგი პაპუნაშვილი (ვერდერი, გერმანია), ავთო ენდელაძე (სამტრედია)

თავდამსხმელები: ილია კერძევაძე (შუქურა), ნიკა კაჭარავა (ცხინვალი), გიორგი ფანცულაია (საბურთალო), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია).

შედეგები

ფეხბურთი

9 ნოემბერი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბილბაო-ლიაგოსტერა 2:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-დიუსელდორფი 4:0

იტალია. სერია ბ

კროტონე-აველინო 3:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანსი-დიჟონი 3:1

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსეში-ტონდელა 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-იანინა 2:1

კალათბურთი

10 ნოემბერი

ნბა. რეგულარული სეზონი

ინდიანა-ორლანდო 97:84

ფილადელფია-ჩიკაგო 88:111

ატლანტა-მინესოტა 107:117

დენვერი-პორტლენდი 108:104

საკრამენტო-სან ანტონიო 88:106

გოლდენ სტეიტი-დეტროიტი .. 109:95

კლიპერსი-მემფისი 94:92

დღეს საქართველო მე-200 მატჩს გამართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (მორდოვია, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (ფეირენსე, პორტუგალია)

მცველები: გიორგი ნავალოვსკი (დილა), გიორგი ფოფხაძე (ფლამურტარი, ალბანეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კარშიაკა, თურქეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), უჩა ლობჟანიძე (ომონია, კვიპროსი), გიორგი გველესიანი, ოთარ კაკაბაძე (დინამო თბ), გია გრიგალავა (პაფოსი, კვიპროსი)

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), სანდრო კობახიძე (ვოლინი, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (გენკი, ბელგია), მათე ცინცაძე (დინამო თბ), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), გიორგი ჭანტურია (დუისბურგი, გერმანია), ლუკას ჰუფნაგელი (ფრაიბურგი, გერმანია)

თავდამსხმელები: მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია), ბაჩანა ცხადაძე (ფლამურტარი, ალბანეთი), ნიკოლოზ გელაშვილი (პაფოსი, კვიპროსი).

ესტონელები საგულდაგულოდ მალავენ შემადგენლობას. ვერ გეტყვით, ამის მიზეზი რა არის, მაგრამ, ვერსად რომ ვერ წავაწყდით, ფაქტია. არადა, ესტონელები 17 ნოემბერს სენტ-კიტსისა და ნევისის ნაკრებს გაეჯიბრებიან. ვერ გეტყვით, სად მოძებნეს ბალტიისპირელებმა ეს ეგზოტიკური ნაკრები, მაგრამ ჩვენს მომავალ მეტოქე ალბანეთთან რომ სურდათ თამაში, ამის ინფორმაცია არსებობს.

სამაგიეროდ, შემადგენლობა დაასახელა ალბანეთის ნაკრებმა, რომელიც საკმაოდ საინტერესო და სოლიდური ჩანს, თუმცა ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ალბანელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირი გზით მოხვდნენ.

თვალშისაცემი უფრო ის არის, თუ რა გუნდებიდან და ჩემპიონატებიდან ჰყავთ ალბანელებს ფეხბურთელები, მაშინ როდესაც ჩვენი ფეხბურთელები ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდებიდან არიან.

ჯანი დე ბიაზის 23-კაციანი რჩეული ასეთია:

მეკარეები: ეტრიტ ბერიშა (ლაციო, იტალია), ორგესტ შეჰი (შკენდერბეუ), ალბან ჰოჯა (პარტიზანი, ხორვატია)

მცველები: ანსი აგოლი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), არლინდ აიეტი, ნასერ ალიი (ორივე ბაზელი, შვეიცარია), ლორიკ ჩანა, ემირ ლენიანი (ორივე ნანტი, საფრანგეთი), ბერატ ჯიმშიტი (ციურიხი, შვეიცარია), ფრედერიკ ვესელი (ლუგანო, შვეიცარია), ამირ ბრაჰმანი (სპლიტი, ხორვატია), ანდი ლილა (იანინა, საბერძნეთი), ესლის ჰუსაი (ნაპოლი, იტალია)

ნახევარმცველები: ამირ აბრაში (ფრაიბურგი, გერმანია), მიგიენ ბაშა (ლუცერნი, შვეიცარია), საბიენ ლილაი (შკენდერბეუ), ლედიან მემუშაი (პესკარა, იტალია), ტაულანტ ჯაკა, შკელზენ გაში (ორივე ბაზელი, შვეიცარია), ჰეროლინდ შალა (ლიბერეცი, ჩეხეთი), ოდისე როში (რიეკა, ხორვატია)

თავდამსხმელები: ბეკიმ ბალაი (რიეკა, ხორვატია), სოკოლ ციკალეში (ბაშაქშეჰირი, თურქეთი), არმანდო სადიკუ (ციურიხი, შვეიცარია), რეი მანაი (ინტერი, იტალია).

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

მექსიკური „მაკდონალდსის“ ჰამბურგერში ვირთხის თავი აღმოაჩინეს

მექსიკის მეხიკოს შტატის გენერალურმა პროკურატურამ „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორანი დახურა ქალაქ ტლალნეპანტლეს გარეუბანში. ამის მიზეზად კი ჰამბურგერში ვირთხის თავის აღმოჩენა გახდა.

ინციდენტი კვირას მოხდა. ფასტ-ფუდში უჩვეულო საგანი დაწესებულების კლიენტმა ქალბატონმა აღმოაჩინა, რომელიც შედეგად მოწამვლის ნიშნებით საავადმყოფოში აღმოჩნდა. მოგვიანებით მან სამართალდამცავებს მიმართა და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა.

ვირთხისთავიანი ჰამბურგერის ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში გამოჩნდა. რესტორანი თავის მხრივ ყველა ბრალდებას უარყოფს და აღნიშნავს, რომ რესტორნების ქსელის

პოლიტიკას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის „ხარისხიანი და უსაფრთხო საკვების“ მიწოდება.

გენერალური პროკურატურა „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებს.

20 წლის დაკარგული ესპანელი ექიმი იტალიის ტყეში იპოვეს

ესპანელ ექიმს იტალიაში ტოსკანას ტყეში 20 წლიანი გაუჩინარების შემდეგ მიაგნეს. ორი კვირის წინ ჭუჭყიანი სახისა და გრძელწვერიან 47 წლის კარლოს სანჩეს ორტიზ დე სალაზარს სოკოების ორი შემგროვებელი გადააწყდა.

– მე ესპანელი ვარ, მე მქვია კარლოსი, აქ 1997 წლიდან ვცხოვრობ, – უთხრა მან და საკუთარი პასპორტი აჩვენა. ექიმმა განმარტა, რომ მას ადამიანებს შორის ცხოვრება აღარ სურდა, მაგრამ ახლა გადაწყვიტა, ტყე დაეტოვებინა.

ტოსკანაში ჩასული ესპანელის ოჯახი, სალაზარის პოვნას შეეცადა, მაგრამ ის ისევ გაუჩინარდა. როდესაც მშობლებმა პასპორტში მისი სურათი ნახეს, დაადასტურეს, რომ ის სწორედ მათი შვილი იყო.

– ჩვენ მის გადაწყვეტილებას, თავისუფლად იცხოვროს, პატივს ვცემთ, მაგრამ აქედან მანამდე არ წავალთ, სანამ არ გადავეხვევით, თუნდაც ეს ბოლოჯერ მოხდეს, – განაცხადა ესპანელი ექიმის დედამ.

კარლოსმა სევილიაში საკუთარი სახლი 1995 წელს დატოვა და ტოსკანაში მარემში გეოგრაფიულ ოლქში გაემგზავრა. ეს მან ღრმა დეპრესიის გამო გააკეთა. 14 წლის შემდეგ ექიმი ოფიციალურად დაღუპულად გამოაცხადეს, ვინაიდან მისი ადგილმდებარეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობდა.

პოლიციელი დაშავებულ მარათონელს ფინიშამდე მისვლაში დაეხმარა

რამდენიმე ათასმა მორბენალმა მიიღო მონაწილეობა ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ სავანეში გამართულ „როკ-ნ-როლის მარათონში“. გარბენის ჩატარება ამინდის ცუდმა პირობებმა – ძლიერმა სიცხემ და მაღალმა ტენიანობამ გაართულა.

მარათონული გარბენის ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად ორგანიზებული იქნა უფასო წყლის დარიგება. გარდა ამისა, მთელი დისტანციის გაყოლებაზე იდგნენ ავტობუსები, სადაც ჩართული იყო კონდიციონერები და მორბენლებს ცოტათი სულის მოთქმა შეეძლოთ.

და მაინც, ასეთი მზრუნველობის გამოჩენა ყველას მაინც ვერ დაეხმარა. გარბენის ერთ-ერთი მონაწილე პრაქტიკულად ფინიშის ხაზთან გახდა ცუდად: დისტანციის ბოლომდე დაახლოებით ასი მეტრი იყო დარჩენილი, როდესაც მამაკაცს ცხვირიდან სისხლი წასკდა და დაეცა. იქვე მყოფმა ექიმებმა მამაკაცს ურჩიეს შეჩერებულიყო და სირბილი აღარ გაეგრძელებინა, მაგრამ, როგორც ერთ-ერთმა პოლიციელმა განაცხადა, მორბენალი ამან ძალიან გაანაწყენა. მაშინ სამართალდამცავი მას გვერდით ამოუდგა და ფინიშის ხაზის გადაკვეთაში დაეხმარა.

– მე მას ხელი ხელზე მოვკიდე, თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. ჩვენ ერთად მივედით ფინიშთან. ამ დროს მე მასთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობდი, – განაცხადა პოლიციელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ჯაბა კილაძე: „არ დაიღალეთ?!“



თავისუფალი თეატრის მსახიობი ჯაბა კილაძე ღია წერილს აქვეყნებს და ყველას მოუწოდებს, უკეთესი საქართველოს შესაქმნელად ძალ-ღონე არ დაიშურონ.

ჯაბა კილაძე:

– ჩემი პოსტი ვერ იქნება პოპულარული იმიტომ, რომ არ ვაგინებ, არ ვლანძღავ არავის და არ ვითხოვ რევოლუციას, გამგებმა გაიგოს. მიტინგი, ძალადობა, ჩარტყმა, სროლა, გადადგეს, იმიტომ, რომ მე მინდა, მოკალით, იმიტომ, რომ მე მინდაა... არ დაიღალეთ, არ მოგბეზრდათ, არ გინდათ ეს ერთი პატარა ქვეყანაა, ორივემ და საერთოდ, ვინც ხართ ერთად პოლიტსპექტრი და არა მარტო პოლიტსპექტრი, მთელმა საზოგადოებამ ერთად გავაკეთოთ ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ვიცხოვრებთ კარგად, დავიჯერო, ასეთი ძნელია?! რაც თავი მახსოვს, სულ მესმის ზვიადიი, ედუარდიი, მიშაა, ბიძინაა, დაჯეე, სარკოო, აღარ მინდა ეს ბელადის სინდრომი... ევროპაში, სადაც ასე გულით გვინდა, იქ ხო ეგრე არ ყვირიან? მაგალითად, გერმანიაში ასე შვებიან – ანგელაა, ანგელაა? იმ ევროპიდან თუ რამე უნდა აიღო მაგალითი, უნდა აიღო, როგორ უყვართ, როგორ ყვებიან თავის ქვეყანას ზედ, არამარტო თავის შვილს, არამარტო თავის სახლს და აივანს, ქვეყანას, გაიგეთ?! ვერ გაიგებთ, იმიტომ, რომ ერთი ფიქრობთ, ნაცები დასახოცებიაო, მეორე ფიქრობს, ოცნება დასახოციაო.

მე ვფიქრობ, რომ აი, ამ მარაზმით და ქაოსით სარგებლობს რუსიც, ამერიკელიც და რა ვიცი, ყველა, ვისაც არ ეზარება და ჩვენ ამას ვერ ვხვდებით! ესე იყო სულ მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე, სულ შიდა პრობლემა და ამის საფასურს იხდიდნენ მომავალი თაობები, მათ შორის თქვენიც, ძვირფასო მთავრობავ და ოპოზიციავ!

ასე რომ, ერთხელ მაინც სცადეთ ქვეყნისათვის, მომავლისთვის რამე სხვა ფორმით დაალაგოთ ქვეყანაა. სისხლი სისხლს არ ბანს, პირიქით, მეტს ითხოვს, შეიგნეთ ეს ერთმაც და მეორემაც!!!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ღამის კლუბთან ახალგაზრდას ხელი მოაჭრეს

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ ლოუტონში ნიღბიანი ბოროტმოქმედთა ჯგუფი თავს დაესხა 20 წლის მამაკაცს. მათ ახალგაზრდას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს დ ხელი მოაჭრეს, რის შემდეგაც დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიიმალნენ.

ინციდენტი შაბათ ღამით მოხდა. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, დაზარალებული მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა წვეულებაზე ქალაქის ერთ-ერთ ღამის კლუბში. როდესაც შენობიდან გამოვიდა, მას სამი თუ ოთხი კაცისგან შემდგარი ჯგუფი თავს დაესხა.

შემთხვევის თვითმხილველმა განაცხადა, რომ ბოროტმოქმედებმა ახალგაზრდას რამდენჯერმე დაარტყეს დანა.

– ის ტროტუარზე იწვა, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა ეტყობოდა, მათგან ოთხი ზურგზე, ირგვლივ სისხლის გუბეები იდგა, – აღნიშნა თვითმხილველმა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გამოცხადდნენ, ასევე მოვიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა. დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. პოლიციაში აღნიშნეს, რომ ყმაწვილს დანით სერიოზული ჭრილობები აქვს მიყენებული.

პოლიციელებმა მოახერხეს ცხელ კვალზე დაეკავებინათ 30 წლის ეჭვმიტანილი, მას მკვლელობის მცდელობის ბრალდება ემუქრება. ასევე შემთხვევის ადგილიდან ოდნავ მოშორებით ნაპოვნია დიდი ზომის დანა.

პოლიციის მონაცემებით, დამნაშავეები დანაშაულის ადგილიდან შავი ფერის ავტომობილით აუდი ა8 გაიქცნენ. დამწვარი ავტომობილი მეორე დილით იქნა აღმოჩენილი.

– გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი თავდასხმა და ის წინასწარ იყო დაგეგმილი, – განაცხადა საგრაფოს პოლიციის პრეს-მდივანმა.

მომაკვდავმა ჩინელმა სექსთოჯინაზე იქორწინა

ონკოლოგიური დაავადებისგან მომაკვდავმა ჩინელმა სექსთოჯინაზე იქორწინა, რათა თავისი სიკვდილის შემდეგ რეალური გოგონა არ დაქვრივდეს.

28 წლის მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, დიდ ქორწილზე ოცნებობდა, მაგრამ სასიკვდილო დაავადების გამო გადაწყვიტა, კანონიერი ქორწინება ნამდვილ გოგონასთან არ გაეფორმებინა. უცნობია, ჰყავდა თუ არა მამაკაცს რეალური მეგობარი გოგონა.

ახალგაზრდამ საზეიმო ფოტოსესია გამართა, ხოლო სექსთოჯინას პროფესიონალური მაკიაჟი გაუკეთეს და საპატარძლო კაბაში გამოაწყვეს. ჩინელმა ინტერნეტ-მომხმარებლებმა ახალგაზრდა ასეთი საქციელისთვის მკაცრად გააკრიტიკეს და მას შეუფერებელი ქმედება უწოდეს. ფოტოსურათების ავტორის თქმით კი, ყველამ პატივი უნდა სცეს ახალგაზრდა მამაკაცის პირად თავისუფლებას.

უცნობი დარჩა, მამაკაცისა და სექსთოჯინას დაქორწინება ოფიციალურად იქნა დარეგისტრირებული თუ არა.

მოულოდნელი მშობიარობა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრებმა ჯუდი ბრაუნმა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობამდე ერთი საათით ადრე შეიტყო, როდესაც საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილების გამო მივიდა.

47 წლის ქალბატონი ვარაუდობდა, რომ მას საშარდე ბუშტში კენჭები აწუხებდა, მაგრამ ექიმებმა მას ცხრა თვის ფეხმძიმობა დაუდგინეს და დაიგნოზის დასმიდან ერთ საათში ქალს მშობიარობა დაეწყო.

ქალს სრულიად ჯანმრთელი გოგონა ეყოლა და ჯუდიმ და მისმა მეუღლემ ჯეისონმა ბავშვს კეროლინ როუზი დაარქვეს. ეს წყვილისთვის, რომლებმაც 22 წლის წინ იქორწინეს, პირველი შვილია. დედის თქმით, ის თავის ცხოვრებაში ასეთ ცვლილებას არ ელოდა და მისთვის დედობა სასიამოვნო სიურპრიზად იქცა.

ბავშვის საავადმყოფოდან გამოსაყვანად, წყვილს სასწრაფოდ დასჭირდა სარწეველას და მანქანის საბავშვო სავარძლის შეძენა, რაც მანამდე დაგეგმილი არ ჰქონიათ.

ბრიტანელ ტრანსგენდერს მეზობლები ავიწროებენ

ბრიტანეთის მერსისაიდის საგრაფოში მცხოვრები ქალი ტრანსგენდერი მეზობლების მხრიდან აგრესიისა და შევიწროების ობიექტად მას შემდეგ იქცა, როდესაც მან მათ წინაშე აღიარა, რომ ის ბიოლოგიურად მამაკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალმა თავისი საიდუმლო მხოლოდ იმათ გაუმხილა, ვისაც ენდობოდა, ეს ამბავი მალე საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ამის შემდეგ მან დაკარგა სამსახური, ხოლო მის სახლში რამდენიმე არასანქციირებულ შეჭრას ჰქონდა ადგილი.

– ერთი კვირის მანძილზე ჩემს სახლში ორჯერ შემოიჭრნენ. პირველად რამდენიმე ძვირფასი ნივთი მოიპარეს, ხოლო მეორედ – მხოლოდ წვენი. ისინი ბინაში, უბრალოდ, ჩემს მასხრად ასაგდებად შემოიჭრნენ და არა რაიმე სარგებლის მისაღებად, – განაცხადა ქალმა ტრანსგენდერმა.

მისი თქმით, მისი მოთმინების ფიალა მას შემდეგ აივსო, როდესაც მის კარზე გაჩნდა საღებავით შესრულებული მუქარის შემცველი წარწერა და ასევე კარში გარჭობილი იყო დანა. ამის შემდეგ მან დახმარების თხოვნით მერსისაიდის მცხოვრებლების ასოციაციას მიმართა. მათ კი თავის მხრივ პოლიციას აცნობეს და განმარტეს, რომ ქალის წინაშე ჩადენილია დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე, ასევე გადაწყვიტეს, რომ მას ახალი საცხოვრებელი ბინა მოუძებნონ.

ამჟამად ქალი ფონდის დახმარებით ახალ ბინაში გადაბარგდა და სამსახურიც დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

იოსებიძის ქუჩაზე მაღაზია დააყაჩაღეს

თბილისში, იოსებიძის ქ. №78-ში მდებარე მაღაზია დააყაჩაღეს. როგორც მაღაზიაში მომუშავე პერსონალი ყვება, მათთან უცნობი მოქალაქე მივიდა, რომელმაც დანის მუქარით გამყიდველის ფული გამოსძალა. მაღაზიის თანამშრომლის ინფორმაციით, ინციდენტის დროს ის მაღაზიაში მარტო იმყოფებოდა. წაღებულია ფული. ადგილზე მობილიზებული არიან საპატრულო ეკიპაჟები.

თვითმხილველების განცხადებით, თავდამსხმელი მაღაზიიდან გასვლის შემდეგ გაგარინის მოედნის მიმართულებით წავიდა. რაც შეეხება ზარალს, მაღაზიის მეპატრონეები არ აკონკრეტებენ, თუ რა რაოდენობის ზარალი მიადგა მაღაზიას.

ინტერპრესნიუსი

ასტროპროგნოზი

11 ნოემბრისათვის

ვერძი – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგების გამო, შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემებმა იჩინოს თავი, განსაკუთრებით – მამაკაცებში. ნუ იჯიუტებთ და ექიმის რჩევები ყურად იღეთ. **კურო** – ოჯახში წესრიგი დაამყარეთ, დაალაგეთ სახლი, შეუცვალეთ ადგილი ავეჯს. ფინანსურ ოპერაციებს ერიდეთ. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **კირჩხიბი** – ფინანსურ სტაბილურობას ინარჩუნებთ. უამრავი საქმე გაქვთ. ეცადეთ, სიტუაცია ფიზიზლად აკონტროლოთ. **ლომი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ალკოჰოლსა და ფიზიკურ დატვირთვას. ქალებს პლანეტები ურჩევენ, ეჭვიანობა და კონფლიქტი ძირშივე აღმოფხვრან. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში აქტიურობა დადებით შედეგს გამოიღებს. სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შესაფერისი პერიოდია. **სასწორი** – თუ სწორად და გააზრებულად იმოქმედებთ, წარმატებას მიაღწევთ. საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში პრობლემები იჩენს თავს. **ღრიანკალი** – დღეს შეგიძლიათ იფიქროთ სამსახურის შეცვლაზე, გარდერობის განახლებაზე. იყავით აქტიური და დამოუკიდებელი. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. იღბალი თან გდევთ. პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილება გელით. **თხის რქა** – ნუ გადაიღლებით. ერიდეთ ავანტიურისტებს. ნებისმიერი კომერციული ოპერაცია კრახით დამთავრდება. **მერწყული** – ქალაქგარეთ გასვლა, საქმიანი მოლაპარაკებები და ვაჭრობა რეკომენდებული არ არის. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **თევზები** – სამომავლო გეგმები დღეს შეიმუშავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საკუთარ თავს მცირედ სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 2. „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს პერსონაჟი; 3. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ბრტყელი ლოკოკინა; 12. ცხოველების სადგომი ზოოპარკში; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

თარაზულად: 1. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 5. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 7. ძველებური ქართული ბასრწვერიანი საბრძოლო იარაღი; 9. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 10. წმინდა ოქრო; 13. სწრაფად მზარდი, დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 14. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 15. გაწყალებული ღვინო; 16. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გერმანია; 2. ვერდი; 3. დეკანოზი; 4. ბელუჩი; 7. ებანი; 9. ისანი; 12. აგლომერატი; 14. ბერეტა; 15. მზითევი; 17. მოლუსკი; 20. ბენდი.

თარაზულად: 5. ზედაზენი; 6. ბიენალე; 8. ჭიდაობა; 10. ჟანგბადი; 11. ნილოსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ბოღმა; 19. სიმდი; 21. ნესტლე; 22. ევრიპიდე; 23. პარკეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. სედანი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ახმეტა; 11. ბეისბოლი; 12. კარიესი; 16. თაობა; 17. ღალია; 18. ჰეიგი.

თარაზულად: 1. ჰამსუნი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დიხაშხო; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 15. იავა; 14. ბესონი; 19. ფისკალი; 20. მარჩვიბი; 21. ნაბეღლავი; 22. შიიზმი.

რუსა ამირეჯიბი: „ჩემი ფერადკანიანი შვილის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ!“

ეკა ირემაშვილი

ჭაბუა ამირეჯიბის შვილიშვილი რუსა ამირეჯიბი 130-ე სკოლის მასწავლებლებს მისი შვილის დისკრიმინაციაში ადანაშაულებს და სასამართლოში ჩივილს აპირებს. შემთხვევას, რომელიც სკოლაში მოხდა, რუსა ამირეჯიბი სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში დეტალურად აღწერს.

რუსა ამირეჯიბი:

– ძირს რასიზმი და დისკრიმინაცია!!!

რა უბედურება გვჭირს ქართველებს? იმდენი ჭკუა არ გაქვს, რომ რასისტობა დავმალოთ, სულ ამას უნდა გავიძახოდე ამ ქვეყანაში, რომ ეს მსოფლიოში აღიარებული დაბალი დონის ტონია? 10 წელია დავბრუნდი და ერთადერთი, რასაც არ ვითმენ, არც მომითმენია არსად და არც მოვითმენ, რასისტობა და დისკრიმინაციაა.

საქართველო, მოგმართავ, შეიგნე, რომ ნებისმიერ უმცირესობაზე ძალადობა ვერბალური თუ ფიზიკური, ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი დანაშაულია 21-ე საუკუნის, არ ხარ შენ არც გაეროს და არც ნატოს ღირსი, სანამ საკუთარი ქვეყნის შვილებს არ დაიცავ!

კანონი შემოიღეს, დიდი მადლობა, ჰოდა, გამოვიყენებ ამ კანონს, ვინმემ ხომ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი? მხოლოდ მე არ ვარ, ვისაც ფერადკანიანი ან თუნდაც სხვა ეროვნების შვილი ჰყავს, ამოიღეთ ხმა!

მითხარით, რა, 130-ე სკოლის დირექტორი და მასწავლებლები არ ითვლებიან რასისტებად, როცა ჩემს შვილს ადანაშაულებენ აქეთ, როცა კლასელმა გული ატკინა და შეურაცხყოფა მიაყენა თავისი კანის ფერი გამო? აფრიკაში წადი, საზოგადოებაში შენი ადგილი არაა, ველურებში უნდა იყო და ა.შ...

აი, მითხარით, რა, არ ვუჩივლო 130-ე სკოლას დისკრიმინაციის ნიადაგზე? დამრიგებელმა კი, მაგის გვერდით ბავშვს ლანძღავდნენ, ანუ ჩემსას და ხმა არ ამოიღო და აქეთ მიმის აბრალებდა, მაგისი ბრალიაო, იმ ბიჭს ზურგზე ხელს უთათუნებდა, ნუ ყვირიხართო, 5 ქალი მეცა, არც მეყვირა?

ჰოდა, აი ეხლა რომ ვუჩივლებ, სამაგალითო იქნება ეს ყველასთვის, რომ ნებისმიერ არაქართველ ბავშვს შიშით შეურაცხყოფა აღარავინ მიაყენოს და მასწავლებლები მიხვდნენ, რომ ასეთი ბავშვი უნდა დაიცვან და არა მიზეზების შეთითხვნა დაიწყონ.

ბოლო ჩემი სიტყვები იყო, ბოდიშს გიხდით, რომ ჩემი ფერადკანიანი შვილი თქვენს სკოლაში, თქვენს კლასში დადის-მეთქი! აქეთ ბოდიშს ითხოვდნენ.

არ დავტოვებ მე ამას ასე, ყელში ამომივიდა, მორჩა! მხოლოდ მანდატური, ახალგაზრდა მამაკაცი იყო, რომელიც შეწუხდა, ცდილობდა, ქალები გაეჩუმებინა, გარეთ გამომყვა, იდგა დარცხვენილი.

აღარავის ვაპატიებ ჩემი შვილის გულის ტკენას! მორჩა! აღარ გავჩუმდები!“

„ახალი თაობა“ **130-ე სკოლას** დაუკავშირდა, სადაც განუცხადეს:

– ახლა მიმდინარეობს მოკვლევა და კომენტარს მოგვიანებით გავაკეთებთ.

– რამდენი წელია მიმი თქვენი სკოლის მოსწავლეა?

– ორი წელია. ის მე-11 კლასელია.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით:

– ეს საკმარისი იყო ჩვენთვის იმისთვის, რომ საქმის წარმოება დაგვეწყო. როგორც კი დამთავრდება და პირველადი ინფორმაცია მექნება, შემდეგ დეტალურად გავაკეთებ განცხადებას. თუ ფაქტი დადასტურდა, სერიოზული სანქცია იქნება გამოყენებული.

„ახალი თაობა“ **რუსა ამირეჯიბსაც** დაუკავშირდა:

– ორი წელია ჩემი შვილი ამ სკოლაში სწავლობს. ეს არ არის პირველი შემთხვევა. მეგონა, მასწავლებლები მაინც იქნებოდნენ ჩემი შვილის მხარეს, მაგრამ სპორტის მასწავლებელმა – უიმე, ზანგი გვყოლია კლასშიო; ქართველის მასწავლებელმა სულ ველური და აფრიკელი ეძახა, დირექტორი ეჩხუბა, ოთხმა ქალმა ატირა. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ, იქით მომახდევინეს ბოდიში.

ძალიან გამწარებული ვარ! ამის მოთმენას არ ვაპირებ. არც სახელმწიფოს, არც სკოლას, არც არავის არ შევარჩენ ჩემი შვილის დამცირებას. ფსიქოლოგიურად შერყეული ვარ. ბავშვი ქუჩაში ვერ გასულა, თმა ვერ გაუშლია, ზანგი, ზანგიო, ჩემ გვერდით ეძახიან. ნუთუ არ შეიძლება ხმამაღლა მაინც არ მიაყენონ შეურაცხყოფა? ამერიკაში ამის გამო ციხეში სვამენ. ეს კანონი ჩვენთანაც შემოიღეს და აუცილებლად ვაპირებ გამოყენებას. ფიზიკური პირებიც კი მაყენებენ შეურაცხყოფას. გაჩერებას არ ვაპირებ, ამას ასე არ დავტოვებ! ყველას ვუჩივლებ! ამ ქვეყანაში დისკრიმინაცია უნდა დამთავრდეს!

დიტო ცინცაძემ გერმანიაში მთავარი პრიზი მოიგო



საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა კინორეჟისორმა დიტო ცინცაძემ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მოიგო.

მისმა ფილმმა „გოდ ოფ ჰეფინეს“ გერმანიის ქალაქ ბიბერახში გამართულ რიგით 37-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა.

ინფორმაცია ისტორიკოსმა ლაშა ბაქრაძემ გაავრცელა, რომელიც თვითონაც გერმანიაში იმყოფება:

– ბიბერახის კინოფესტივალზე დიტო ცინცაძის ფილმმა „გოდ ოფ ჰეფინეს“ მთავარი პრიზი – ოქროს წავი – აიღო.

„მედიატორი“, „კაცი საელჩოდან“, „რევერსი“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც დიტო ცინცაძემ გადაიღო. მისი ერთ-ერთი ბოლო პროექტი „43“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კინოცენტრის 2015-2016 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია.

დიტო ცინცაძემ ფილმის შესაქმნელად უმაღლესი ქულები დააგროვა, პირველ ადგილზე გავიდა და 370 000 ლარის დაფინანსება მოიპოვა.

სამხატვრო აკადემია აღარ დაინგრევა

სამხატვრო აკადემია აღარ დაინგრევა. შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა.

ამ დროისათვის მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, რაც შენობის კონსტრუქციულ გამაგრებას გულისხმობს. ხორციელდება საძირკვლის გამაგრება და შენობის ახალი სახურავის ქვეშ მოქცევა. სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებს შპს „იკორთა 2007“ ახორციელებს.

სამხატვრო აკადემიის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი 2016 წლის დეკემბერში, ხოლო შენობის სრული რეაბილიტაცია 2018 წელს დასრულდება.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით დაწყებულია მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების იმ შენობებში, სადაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურული პრობლემები არ იყო

მოგვარებული.

ამ ეტაპზე ხორციელდება 8 მასშტაბური პროექტი, მთლიანობაში კი 50-მდე შენობის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

ილია ჭავჭავაძის სახლის ჭერი ჩამოქცეულია

თუ ილია ჭავჭავაძის საგურამოსა და ყვარლის სახლ-მუზეუმები რეაბილიტირებულია და თავისუფლად შეუძლია ვიზიტორების მიღება, რადიკალურად სხვა სიტუაციაა თბილისში, ჩუბინიშვილის ქუჩაზე მდებარე ილიას სახლში.

ინფორმაციას ორგანიზაცია „ძეგლის მეგობარის“ პრეზიდენტი სალომე ჭანტურიძე ავრცელებს:

– ძალიან მიხარია, რომ ჩემი ფბ მეგობრები ილიას ფოტოებსა და ფრაზებს აზიარებთ, გულებს აწერთ... არ ვიცი, თუ გსმენიათ – ილიას სახლის, საძინებლის ჭერი ჩამოქცეულია. სახლი ჩუბინაშვილის ქუჩაზე არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის აგებულია.

რამდენიმე თვის წინ ვსტუმრობდით ილიას სახლს, მისი საძინებლის კარი გამოკეტილია, ოლღასა და ილიას საწოლები დაშორებული, ჭერი რომ არ დაეცეს და განადგურდეს.

დამხმარე, ამ ამბის გულთან მიმტანი და პრობლემის გადამჭრელი არ ჩანს.

13 ნოემბერს თსუ-ში კონფერენცია გვაქვს: „XIX-XX საუკუნეების არქიტექტურა და თანამედროვე გამოწვევები“, სადაც ამ სახლზე ვისაუბრებთ. მოდით და ვიმსჯელოთ როგორ შეიძლება გადავარჩინოთ სახლი, რომელშიც ილია ცხოვრობდა...

თაკო ნაცვლიშვილი იტალიაში მიიწვიეს

17 წლის ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი იტალიაში მიიწვიეს. ლამაზმანი აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო სამოდელო სფეროში წარმატებულ მოღვაწეობას. მან სამ დღეში ორი კოლექციისა და ერთი ჟურნალის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

დონატელა ვერსაჩეს ფავორიტი ქართველი მოდელი პარიზისა და მილანის მოდის კვირეულების სასურველი მოდელი აღმოჩნდა. მან მსოფლიოში ცნობილი არაერთი ბრენდის კოლექცია წარმოადგინა. ლიბანელმა დიზაინერმა ზუჰაირ მურადმა კი თაკო თავისი საქორწილო კაბების ფოტოსესიაშიც გადაიღო.

ქართველ მოდელს საგენტო ვიქტორია სეკრეტის კასტინგისთვისაც ამზადებს. კონკურსში მონაწილეობაში ხელს ლამაზმანს ასაკი უშლის. 18 წლისას უკვე თავისუფლად შეეძლება ქასტინგში მონაწილეობა და არ არის გამორიცხული, ანგელოზებს შორის ქართველი მოდელიც აღმოჩნდეს.

ამ ეტაპზე თაკო იტალიაში იმყოფება, სადაც გადაღებები აქვს ჟურნალისა და ახალი კოლექციებისთვის. ლამაზმანმა უკვე დაასრულა ფოტოსესიები მარელასა და პინკოს ახალი კამპანიისთვის. მარელას გასულ სეზონზე კარლი კლოსი უწევდა რეკლამას, ხოლო პინკოს – ალესანდრა ამბროსიო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ლუირა კორაშვილი, შვილი ირაკლი, რძალი ინგა ლაშქარაშვილი, შვილიშვილი ივა ყულჯანიშვილი და ოჯახის ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვანო ყულჯანიშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 10, 11 ნოემბერს, 17 საათზე, დ.გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) I კორპუსი, I სადარბაზო, IX სართული.

გამოსვენება: 12 ნოემბერს, 14 საათზე, საბურთალოს პანთეონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან, უნივერსიტეტის ქ.№3 (ძმათა სასაფლაო).

ვახტანგ კიკნაძე და მისი ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი და ერთგული მეგობრის, უაღრესად კეთილშობილი და ღირსეული პიროვნების

ვანო ყულჯანიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კლუბი „მერწყული“ თანადგომას უცხადებს კლუბის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, დოქტორ გიორგი ნატრიაშვილს ქვისლის

გოგი (გოჩა) აბულაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
11 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **09.20** ან/ფ. "მადაგასკარის პინგვინები" **14** სერ" II ნაწ. **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **3** გად. **11.00** ტ/სერ. "**ჩანტო ჰეებრინგ**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**დიასახლისი**" (ს.მარტინი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**დომბე და ჯაჟი**"I სერ. **18.05** "სიტყვების თამაში" **8** გად. **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" – "ანაბეჭდის გარეშე" – (ვაშაგაშვილი) **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანჭოს სახლი**" **8** სერ. **22.00** მხ/ფ "**ელისაბედი: ოქროს ხანა**"(ისტ.დრამა. რეჟ: შ. კაპური"კ. ბლანშეტი) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**დრაკონის გული**"(სათავგადასავლო. რეჟ: რ.კოენი)

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "სიყვარულის სახელით" **11.00** დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.00 ფეხბურთი** – ამხანაგური მატჩი: **ესტონეთი – საქართველო** I – II ტაიმი **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**მოტყუებული**" (კ.ისტვუდი)

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **10** სერ. **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სასლის პაბარა დიასასლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **9** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**პაბარქალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**რეპოლვერი**" (რ.ლიოტა) **02.45** მხ/ფ "**რემბო 4**"

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხეზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება "მარიამ გაჩეჩილაძე-ექსლიბრისის ხელოვნება" **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "ვარძია" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი "აფხაზური კულტურის წერილობითი ძეგლები" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ "ერლომ ახვლედიანი-მრავალთათვის საკეთილო" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღეებს**" II სერ. **20.40** ძილი ნებისა "ზაქარიასა და ელისაბედის სიხარული" **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ჟუჯეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "მონიტორი" **16.05 სერიალი "ბაბიანა"** **17.05 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.00** "კონტაქტი" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ვანგელია"** **1.30 სერიალი "ბაბიანა"** **2.15 სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.399	ევრო — 2.5861
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6196	100 რუსული რუბლი — 3.7122

ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისთვის

დღეს საქართველო მე-200 მატჩს გამართავს

დღეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ესტონეთთან ამხანაგური მატჩს გამართავს. ეს იქნება ჩვენი ნაკრების საიუბილეო, მე-200 მატჩი.

გუნდი ტალინში გუშინწინ შეიკრიბა და 15-კაციანი შემადგენლობით საფეხბურთო კლუბ ფლორას სათადარიგო მოედანზე ივარჯიშა.

ჯაბა კანკავა, ლუკას ჰუფნაგელი, გიორგი ლორია და მათე ვაწაძე ტალინში ვარჯიშის დასრულების შემდეგ ჩავიდნენ და საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ. თორნიკე ოქრიაშვილი და გიორგი მაკარიძე ტალინში გუშინ ჩავიდნენ, ხოლო უჩა ლობჟანიძემ კვიპროსის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ჩაატარა, ამიტომ ფეხბურთელი ესტონეთთან შეხვედრას გამოტოვებს და ნაკრებს ალბანეთში შეურთდება.

ორ უახლოეს მატჩში ტრავმის გამო სოლომონ კვერკველია ვერ ითამაშებს. საფეხბურთო კლუბმა რუბინმა წერილი აფრინა, სადაც ნათქვამია, რომ ფეხბურთელმა კრილია სოვეტოვთან მატჩში ტრავმა მიიღო და რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ ივარჯიშებს. კახა ცხადაძის გადაწყვეტილებით, ეროვნულ გუნდს თბილისის დინამოელი გიორგი გველესიანი შეუერთდება.

ესტონეთისა და საქართველოს საფეხბურთო დაპირისპირება დღეს 21 საათზე დაიწყება.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

იუმორი

ერთი ექიმი მეორეს ეკითხება:

– ფსიქოლოგიური ძალმომრეობის რომელ სახეობებს იცნობთ?

– ქალებს!

●●●

ქალი ბავშვს საბავშვო ბაღში მიიყვანს. დირექტორი ეუბნება:

– ბოდიში, მაგრამ თქვენს შვილს ვერ მივიღებთ.

– რატომ?

– ეს საბავშვო ბაღი მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის არის.

– კი მაგრამ, მე ხომ ის უცნობი ჯარისკაცისგან მყავს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა განსხვავებაა ტერორისტებსა და განრისხებულ ქალს შორის?

– ტერორისტებთან მოლაპარაკება შესაძლებელია...

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, ხატვა გიყვართ?

– დიახ, საიდან მიხვდით?

– წარბებზე გემჩნევა...

●●●

შეგონება:

„კვირაში ერთი დღე იყავი ისეთი, როგორიც ხარ, ხოლო დანარჩენი ექვსი დღე რეპუტაციის აღდგენას დაუთმე“.

●●●

ქალი დაქალს ეუბნება:

– მამაკაცები მგალობელი ფრინველებივით არიან.

– ეგ როგორ?

– იჭიკჭიკებენ, იჭიკჭიკებენ, მერე მოსკლინტავენ და გაფრინდებიან.

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ძალიან მომხიბვლელი ბრძანდებით.

ქალმა შეათვალიერა და უპასუხა:

– სამწუხაროდ, არ შემიძლია, რომ მსგავსი ქათინაურითვე გადაგიხადოთ სამაგიერო.

– მაშინ ისე მოიქეცით, როგორც მე.

– ეგ როგორ?

– ჩემსავით იცრუეთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალიფოლკოპი

პამელა ანდერსონმა ჰეპატიტისგან განკურნება ეროტიკული ფოტოებით აღნიშნა

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჰეპატიტისგან საკუთარი განკურნება ეროტიკული ფოტოსურათების გამოქვეყნებით აღნიშნა, რომლებიც მან ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში განათავსა.

– მე განვიკურნე! ეს ახლახან შევიტყვე! – დაწერა 48 წლის ვარსკვლავმა, რომლის ახალმა ფოტოსურათმა უკვე მოასწრო 4,5 ათასზე მეტი მოწონების მიღება.

მსახიობის თქმით, მკურნალობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არ ასახულა და თავს კარგად გრძნობს.

ც ჰეპატიტის დიაგნოზი პამელა ანდერსონს 2002 წელს დაუდგინდა. ვირუსი მსახიობს მისმა ყოფილმა მეუღლემ ტომი ლიმ გადასდო (სავარაუდოდ, იმ დროს, როდესაც წყვილმა ერთი და იგივე ნემსი გამოიყენა სვირინგის გასაკეთებლად).

შვილმა ტრამპმა მამა განასახიერა



ივანკა ტრამპმა, აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის ქალიშვილმა, გაავრცელა ფოტოსურათი, რომელშიც ის გადაღებულია პარიკში, რომელიც მისი მამის ვარცხნილობას იმეორებს. აღნიშნული ფოტოსურათი 34 წლის გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში განათავსა.

ივანკას განმარტებით, ფოტოსურათი ერთ-ერთ ტელეარხზე შოუში სტუმრობისას, კულისებშია გადაღებული. გოგონამ ეს ფოტოსურათი მამის საარჩევნო კამპანიის მხარდაჭერის ფარგლებში გამოაქვეყნა.

– აი რა მოხდა, როდესაც მე ტელესტუდიის კულისებში დავბოდიალობდი. იქ მივაგენი იმ პერსონაჟის პარიკს, რომელიც მამაჩემს განასახიერებდა. ეს საოცარია, – ასეთი კომენტარი გაუკეთა ივანკამ თავის ფოტოსურათს, რომელზეც ის შეეცადა მამის ჟესტიკულაცია და მიმიკა გადმოეცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი
50 ლარი 90-ის ნაცვლად

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
45 ლარი 95-ის ნაცვლად

MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50ჯნ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია **Stop&Shop**
დარეკეთ წინასწარ! ☎: **2-182-186.**
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

35 ლარად 65 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები

გერმანული წარმოების ელექტროლეიბი.... ეკონომიურია და რაც მთავარია აბსოლუტურად უსაფრთხო.... ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
1) ტემპერატურის მარეგულირებელი 2 სიჩქარე;
2) ზომა 120X160.

მზის სანათი

შეთავაზების აღწერილობა:
– მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;
– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობილური, აიპოდი და სხვა.

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. ხახვით, ძმრით და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. დასაკეცი ჯიბის დანა; 3. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ევროკავშირის შტაბ-ბინა; 4. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. დროებით, პერიოდულად შრობადი მდინარეთა სახელწოდება ავსტრალიაში; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. მონასტერი ჯავახეთში; 20. ყავის მოსადღეგელი სახელურიანი ჭურჭელი.

თარაზულად: 5. ნავთობის უდიდესი საბადო ყაზახეთში; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 8. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 10. ჩინეთში გამოყვანილი დეკორაციული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 13. ქართველ მწერალ ლეო შენგელაიას ლიტერატურული ფსევდონიმი; 16. ფრანგული, სამხედრო-სადესანტო, ვერტმფრენმზიდი გემების სერია; 18. მთავარი მოედანი მილანში; 19. გერმანული ავტომობილი; 21. სტადიონი ლონდონში; 22. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.



შეადგინა
თ.კოპალეიშვილმა